# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 6 მაისი 2000 №84 (1106) | ფასი 50 თეთრი


3

## ზოგჯერ პიცა სჯობს ხაჭაპურს



ჯანი კარნევალი ბათუმიდან და „ბათუმიდან" არ უნდა წავიდეს

3

## ალანია კიკნაძეს თვის ბოლოს ელის

გიორგი კიკნაძემ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშს ერთ თვეში განაახლებს

6

## მეგობრული რჩევა




ოლეგ ლუჟნის რჩევა „ტოტენჰემისთვის" არ ემეტება...

# ორი დინამო დინამოზე

დღეს ბათუმში ერთი „დინამო" მეორეს უმასპინძლებს. ზღვისპირელთა მოგებით ანაც ფრით თბილისის „დინამოს" ჩემპიონობისკენ გზა პრაქტიკულად საბოლოოდ მოეჭრება — „ტორპედო" სამ ქულაზე მეტი მარაგით ენვევა თბილისს, „ბათუმი" კი საევროპო ამბიციას შეინარჩუნებს. ბათუმური კლუბი ბოლოდროინდელი ნაგებებით მთლად დაწყობილი ვერაა და მით უფრო სჭირდება გამარჯვება. „ტორპედო" დღეს უმოტივაციო „იბერიას", „ვიტ ჯორჯია" კი „დილას" სტუმრობენ. ვიდრე საჩემპიონო ბრძოლაში სასწორი ვინმესკენ საბოლოოდ გადასწონის, უკვე გაირკვა პირველი გავარდნილი. „არსენალთან" თსუ-ს გუშინდელი გამარჯვებით ოფიციალურად მეორელიგელი გახდა „ხობი". არმიელებს კი დარჩენილ ტურებში სტუდენტთა ყველა მარცხი და საკუთარი ოდენ მოგებებილა შველით.



გუშინ მცხეთაში: თსუ — „არსენალი" 2:0. გიორგი დეკანოსიძე (წინ) და გიორგი სულაძე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 10 ტური

### «ა» ზონა

6 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | |
| დინამო | |
| კოლხეთი | |
| სიონი | |
| დილა | |
| ვიტ ჯორჯია | |
| იბერია | |
| ტორპედო | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 23:9 | 35 |
| დინამო | 9 | 3 | 6 | 0 | 10:2 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 31 |
| ბათუმი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:7 | 29 |
| კოლხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 25 |
| სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | 18 |
| დილა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:19 | 16 |
| იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 5:22 | 16 |

### «ბ» ზონა

5 მაისი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 2 |
| არსენალი | 0 |

6 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| გორდა | |
| მერანი | |
| სამგურალი | |
| ლოკომოტივი | |
| ხობი | |
| თბილისი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 9 | 6 | 3 | 0 | 10:1 | 29 |
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:2 | 29 |
| გორდა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:4 | 27 |
| თსუ | 10 | 6 | 0 | 4 | 13:10 | 26 |
| სამგურალი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:6 | 18 |
| არსენალი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:20 | 14 |
| თბილისი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:18 | 11 |
| ხობი | 9 | 1 | 0 | 8 | 9:29 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

# როდის დამთავრდება ეს ჯოჯოხეთი?!

REUTERS პიტსბურგიდან



## პიტსბურგში ეძინათ, პეტერბურგში ტიროდნენ

ეს მართლაც ჯოჯოხეთი იყო...

გუშინ ჰოკეის სამყაროში ორი ისტორიული ამბავი მოხდა.

პიტსბურგ—ფილადელფიის მეოთხე საპლეიოფო მატჩის ძირითად დროს ხუთი ოვერტაიმი დაემატა, ჰოკეისტები ძლივსლა დალასლასებდნენ ყინულზე, მაყურებელს კი ტრიბუნაზე ჩაეძინა.

პეტერბურგში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძლებს შავი დღეები უდგათ: ნჰლ-ის ნაქები ვარსკვლავებით გადიდგულებულმა რუსებმა ზედიზედ მესამედ წააგეს. გუშინ ისინი ლატვიელებმა დაამწუხრეს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




REUTERS სანქტ პეტერბურგიდან

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 10 ტური

# ევროპაში ხომ არ ვართ?

| | |
|---|---|
| თსუ | მცხეთა, 5 მაისი, 18 საათი, არმაზი, 100 (ტევადობა 3 000) |

**თსუ 2:0 არსენალი**

1:0, 2:0 წუწუნავა (9, 37)
თსუ: მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (ახალაძე 68), ხართიშვილი, ადამია, წუწუნავა (ქადაგიძე 89), დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (გოცირიძე 80), დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ბარქაია, ლობჟანიძე, თ. ბოკერია
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი (ჩალაძე 57), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, სულაძე (წონკოლაური 61), შუკაკიძე, ი. კაპანაძე, კაკაშვილი, ხმალაძე, ქოიავა, ტუღუში
*სათადარიგონი:* თ. ქაცარავა; ხარებავა
გაფრთხილება: კაკაშვილი (25), ქოიავა (53), ალადაშვილი (56), ინწკირველი (63)
მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი), თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

თსუ-ს გუშინდელი მოგებით მეორე ლიგის გზას ოფიციალურად დაადგა „ხობი". თბილისის „არსენალსაც" გავარდნას თეორიული შანსიღა აშორებს. ყველა დარჩენილ მატჩში უნდა წააგოს თსუ-მ, „არსენალს" კი მოგებებილა უშველის.

არ უნდოდა გუშინ უპატრონოდ მიგდებულ „არსენალს" წაგება, „იბრძოლეს „არმიელებმა", რაც შეეძლოთ, ითამაშეს, თუმც... ძალა აღმართს რომ ხნავს, ამ მატჩშიც დამტკიცდა. სულაც არ არის გასაკვირი, რომ მაძღარმა, პატრონიანმა და მომზადებულმა თსუ-მ მშიერ, უპატრონო და უვარჯიშებელ „არსენალს" იოლად სძლია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მატჩის წინა დღეებში მოსულმა წვიმამ თავისი კვალი „არმაზის" მინდორსაც დაატყო. ალაგ-ალაგ ისეთი ტბები იდგა...

თსუ-ს დისკვალიფიცირებული სოსო ერაძის არყოფნა სულაც არ დასტყობია, მასპინძლები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს. შეტევებმიძალებული თსუ-ს მცდელობამ უმალ შედეგი გამოიღო — მაზიაშვილის ჩინებული პასით წუწუნავა მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიშიც გაიხსნა. ეს მე-9 წუთზე მოხდა. ამ დროისთვის თსუ-ს ერთი ხელსაყრელი მომენტის გაფუჭებაც მოესწრო — დეკანოსიძემ ადამია დატოვა საგოლე პოზიციაში, თუმც მეკარის ცხვირწინ მყოფ თავდამსხმელს მიზანმა უმტყუნა. გოლის შემდეგ წუთსაც არ გაევლო, რომ წუწუნავამ დუბლის შესრულების კარგი შანსი დაკარგა. მისი დარტყმულიც მიზანს ასცდა. ამის შემდეგ „არსენალიც" გააქტიურდა, რასაც კინაღამ ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა. ხმალაძე და სულაძე ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩნენ, თუმც ერთმანეთს ვერ გაუგეს.

სხვისი არ ვიცი და მე ასეთი მონდომებით და თავგანწირვით მოთამაშე „არსენალი" წლეულს არ მინახავს, ატალახებულ მინდორზე ავლაბრელები ბოლომდე იბრძოდნენ, არც „პადკატებს" ერიდებოდნენ. სტადიონზე შეკრებილთაგან ზოგიერთმა ისიც კი იფიქრა, ემანდ „სამგურალი" ხომ არ დაჰპირდა რამესო, თუმც ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, ხომ გაგიგიათ. ისე, ჩვენში გამორიცხული არაფერია.

ასეთი თავგანწირვით „არსენალმა" 37-ე წუთამდე ითამაშა, მერე კი თსუ-მ მეორე გოლი გაიტანა. ხართიშვილმა მოედნის ცენტრიდან ბრწყინვალე პასით წუწუნავა კუპატაძეს შეატოვა, წუწუნავამ ერთი გაისწორა და დუბლიც გამოაცხო. სტუმრებიც ბედს შეურიგდნენ. არადა, მეორე გოლამდე ცოტა ხნით ადრე თავად შეეძლოთ გატანა. კაკაშვილის კარგი თამაშ... წყალობით, სულხან გაიდა მეკარ... პირისპირ, მაგრამ საჯარიმოში შეს... ლი მოულოდნელად თავისით წაიქ... და ხიფათიც განიმუხტა.

მეორე ტაიმში „არსენალს" უვარჯ... შებლობა დაეტყო. ფეხბურთელებიც გ... დაიღალნენ და... თსუ-ს რომ მოენდომ... ბინა, სტუმრებს დიდი ანგარიშით მარც... არ ასცდებოდათ, თუმცა მასპინძლებ... რომ შეატყვეს, სამი ქულა ჯიბეში ეღო... მოდუნდნენ. მიუხედავად ამისა, რამდ... ნიმე რეალური მომენტი მაინც შექმნ... 64-ე წუთზე წუწუნავას ჰეთ-თრიქის შ... სრულებაც შეეძლო, მაგრამ ხელი ძელ... შეუშალა. იგივე მიზეზით ვერ გაიტ... არჩვაძემაც — მისი შორიდან უძლიერ... სი დარტყმულიც ძელმა მოიგერია. ი... გიორგი ირემაშვილის დაცვაში თითქ... უშეცდომო თამაში რომ არა, იქნებ თს... ს მეტიც გაეტანა. ირემაშვილი მართლ... გამორჩეული იყო ორივე გუნდში. მ... ცხენა მცველი დროდადრო თავდასხმ... თვისაც იცლიდა. ერთხელ ლამის მ... ლი მასპინძელთა დაცვა მოატყუა, მ... რესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ო... მახვილი კუთხიდან მერლანს ველარ აჯ... ბა. მერლანს ერთხელ არც კუპატ... ჩამორჩა, როცა მაზიაშვილის გასრო... ლზე რეაგირება მოასწრო და უძნელ... ბურთი მოიგერია. კუპატაძემ ერთხელ... მიიქცია სტადიონზე შეკრებილთა ყუ... დღება, როცა მსაჯმა ბურთის გაჩერ... და თამაში ისე შეყვანა მოსთხოვა, ... აუცილებელია, ევროპაში ხომ არ ვართ... უპასუხა. არ იყო მართალი, ასე თუ... ვაგრძელეთ წესების უგულებელყო... ევროპაში ვერც ვერასოდეს ვიქნებით...

თსუ კი ამ მოგებით „სამგურალ... მთელი რვა ქულით დაშორდა. დღეს წ... ლტუბოელები „ლოკომოტივს" მასპ... ლობენ და რთული მატჩი ელით, თუ... მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, თს... სთან სხვაობა ისევ ხუთ ქულამდე უ... შემცირდეს. ვნახოთ...



სტუმართა მეკარე ზვიად კუპატაძე გიორგი ადამიას მცველივით დაუხვდა

# დღეს ბათუმში: ორი დინამო დინამოზე...

ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი არც მისი მეათე ტურით დაწყებულა და, რა თქმა უნდა, არც დამთავრებულა, მაგრამ ტურის ერთ-ერთი მატჩი, „ბათუმი" — „დინამო" ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

„ბათუმი" ის გუნდია, რომელსაც ბევრისთვის მოულოდნელად დიდი ამბიციები გამოუჩნდა. არა, თასისადმი მათ მისწრაფებას ადრეც ვიყავით ჩვეულნი, მაგრამ ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ბათუმი" ცოტა გვეუცხოვა.

იტალიელ ჯანი კარნევალის ერთი წამოსცდა ქართული სკუდეტოო (გეგონებოდათ, იტალიურით სულ გამოტენილი ჰქონდა ჯიბეები) და, ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო, ვითომ რატომაც არაო, თქვეს ბათუმელებმა.

ჩემპიონობის მართლაც დიდი შანსი ჰქონდათ აჭარელებს. თავიდან სოლიდურ თამაშსაც გვიჩვენებდნენ, მაგრამ მერე (განსაკუთრებით ბოლო დროს) ყველაფერი აირია და „ბათუმმა" ჯერ შინ „ვიტ ჯორჯიასთან", მერე კი ფოთსა და ქუთაისში ისეთი ქულები დათმო თავის უშუალო კონკურენტებთან, რომ ჩემპიონობას ვინ ჩივის, პრიზიორობა და თასიც სანატრელი აქვს.

დღეს „ბათუმის" ბოლო შანსია. კარნევალის შეგირდებმა თუ წააგეს, მაშინ ჩემპიონატში მათი მისია, ჩათვალეთ, ამოწურულია. დარჩენილი თამაშების განრიგი (გასვლითი თამაშები „სიონთან" და „ვიტ ჯორჯიასთან", საშინაო „კოლხეთთან") ბათუმელებისთვის ძალიან არასახარბიელოა.

კარნევალი რატომღაც შემოსწყრა ვეტერანებს. მწვრთნელმა ძირითადის რამდენიმე მოთამაშეს ცერად განსაკუთრებით ქუთაისური სამარცხვინო მატჩის შემდეგ შეხედა. ზედაპირულად ასე ჩანს, სინიორ ჯანი უკვე აღარ ენდობა კლუბის ძირძველ მოთამაშეებს. ერთი-ორჯერ წამოსცდა კიდეც, მე უფრო მომავალზე ვფიქრობო. მომავალი კი, მოგეხსენებათ, ახალგაზრდობას უკავშირდება.

ისიც ცხადზე უცხადესია, რომ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის დაპირისპირება მწვავდება. ეს კი სიკეთეს არ მოიტანს.

„ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს, ბათუმში ყველა შეწუხებულია, გუნდის ასეთ ჩავარდნას არავინ ელოდა. ამიტომ „დინამოსთან" თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, მინდორზე მოსაგებად გავალთ და... გამარჯვების შემთხვევაში საბოლოო წარმატების იმედი შეგვრჩება." ეს სიტყვები აჭარული კლუბის პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს ეკუთვნის. ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რა იგულისხმება საბოლოო წარმატებაში, მაგრამ რახან თავად რაღაცის კიდევ სჯერათ, მოდით, ჩვენც მეტს ნურაფერს ვიტყვით. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

„ბათუმს" „დინამოსთან" მატჩის წინ სერიოზული პრობლემები არ შექმნია. შეიძლება ცოტა ფსიქოლოგიური სტრესი გამოჰყვათ „ლოკომოტივთან" თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის წაგების შემდეგ. მაგრამ დღეს სანწორზე ევროსარბიელის საგზური იდება და რა დროს თასია.

კარნევალის (თუ ათამაშა, რა თქმა უნდა) მალხაზ მახარაძე და პაატა მაჭუტაძე გამოუჯანმრთელდა. სამაგიეროდ, მიკროტრავმები აწუხებთ ლევან ხომერიკსა და ირაკლი თარგამაძეს, თუმცა ამათ უშველებელი არაფერი სჭირთო, ამბობენ ბათუმელები.

„დინამო" ის გუნდია, რომელსაც ჩემპიონობის გარდა ყველა სხვა შედეგი წარუმატებლობად ჩაეთვლება. თითქმის ყველა შეეჩვია დინამოელთა პირველობას, მაგრამ ახლა სხვა დროა, „დინამოსაც" კონტინგენტი გაუმეჩხერდა. დასუსტდა ჩემპიონი.

ამის მიუხედავად, თბილისელთა პრეზიდენტმა მაინც ხმამაღლა განაცხადა, ჩემპიონობა თვითმიზანიაო.

მერაბ რატიანს, ალბათ, სხვებზე უკეთ მოეხსენება, რომ ამჟამინდელი გუნდი ძველის აჩრდილია, მაგრამ „დინამოს" ისტორია, ტიტულები და ტრადიცია სხვაგვარად განსჯის უფლებას არ აძლევს. ამიტომაც ითხოვს პრეზიდენტი პირველობას.

ოთარ კორღალიძე ბედნიერი მწვრთნელი იქნებოდა, ადრინდელი კონტინგენტი რომ შეენარჩუნებინა, მაგრამ კლუბის სავალალო ფინანსურმა მდგომარეობამ გუნდიდან წამყვან მოთამაშეთა მორიგი გადინება გამოიწვია და იმ დღის შემდეგ ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია.

კორღალიძემ სხვებზე უკეთ უწყის თავისი შეგირდების ავანჩავანი. იცის თავისი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ამას საქვეყნოდ არასდროს აღიარებს. მწვრთნელი სიჩუმეს ირჩევს და იმ უთქმელობაში ერთი რამ ნათლად იკითხება — როგორი დასუსტებულიც არ უნდა იყოს „დინამო", მაინც ყველასათვის მრისხანე მეტოქეა.

დღეს „დინამომ" რომ წააგოს, მაშინ, ალბათ, ჩემპიონიც ვერ გახდება და პრიზიორობას დასჯერდება. თუ მოიგო, იცოცხლეთ, იმედგაათკეცებული და გულმოცემული დაუხვდება ქუთაისის „ტორპედოს" და საჩემპიონო ორთაბრძოლასაც თბილისში, „ეროვნულზე" ვიხილავთ.

ოთარ კორღალიძემ შეგირდები ნ... დრევად აამგზავრა ბათუმისკენ. დი... მოელები გუშინვე ეწვივნენ აჭარ... ივარჯიშეს და დაისვენეს. ჩემპიონ... ამ დილითაც წაივარჯიშებენ და მ... თამაშის დროც მოვა.

მწვრთნელს ერთი დიდი საფიქ... ლი გასჩენია, „ბათუმთან" ვალტ... გუჩუას ვერ ათამაშებს. ვალტერი „ტ... რპედოსთან" სათასო მატჩში გაა... ვეს და მინდორს ისევ „ტორპედ... სთან", ნახევარფინალის საპასუხო ... მაშზელა დაუბრუნდება.

ვერც გიორგი ნემსაძე დაეხმარ... „დინამოს". როგორც გვითხრეს, ... საზღვარგარეთ იმყოფება სასურვ... კლუბის საძიებლად და არ იციან, ... დის დაბრუნდება.

სხვა მხრივ ყველაფერი ნორმალ... რადაა (რა თქმა უნდა, პირობით... ტრავმა არავის აწუხებს და საბრ... ლველად მზად ვართო, ამბობენ. ს... რალა დაგვრჩენია, უნდა ვერწმუნ...

ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო „... თუმისა" და „დინამოს" აქამდე ნა... მაშევი მატჩის ყველა სტატისტ... დაგვერთო ზემოთქმულისთვის, მაგ... რახან ორივე გუნდი დღეისთვის ... ტად სახეცვლილია, ამიტომ მხოლ... მეთერთმეტე ეროვნულის შედეგ... გახსენებითღა შემოვიფარგლოთ.

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „... თუმმა" შინ 1:0 მოუგო „დინამოს". ... მპიონებმა რევანში „ეროვნულზე" ... ლეს. „დინამომ" 2:1 დაამარცხა კარ... ვალის გუნდი.

დასკვნითი ეტაპის პირველ მატ... სტუმარი „ბათუმი" იყო და დაძაბ... თამაშში შინ ქულის წაღება მოახ... რხა. სამი მატჩის ჯამში მონაგ... თანაბარია. რა იქნება დღეს?

რაც შეეხება ფეხბურთის ფედე... ციის მიერ ბათუმურ მატჩში გამწე... ბულ მსაჯთა ბრიგადას, თამამად ... გვიძლია, ნეიტრალური ვუწოდოთ. ... ვარ არბიტრ სოხუმელ დავით ს... ას, სამტრედიელები — ლევან ... ლაძე და გურამ ჩიგოგიძე დაეხმა... ბიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსა... ბი ობიექტურად და პირნათლად ... ბარებენ ძნელ გამოცდას.

დღეს ისეთი მატჩია, რომ შეც... მის უფლება არავის აქვს!

მამუკა ქვანტალი...



დინამოელი პაატა ჯინჭარაძისა და ბათუმელი გიორგი ქორიძის „ტანგო" ნიკოლოზ ტოგონიძის კარის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგჯერ პიცა სჯობს ხაჭაპურს



ბაჩო კორინთელის ფოტო

„ბათუმის“ თავკაცი ჯანი კარნევალი

ᲘᲛᲐᲡ, რაზეც ახლა შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ქუჩაში ან სტადიონზე ვერ მოისმენს კაცი. ეს უფრო კულუარული ამბავია, გარკვეული დოზით ალბათ ჭორის შემცველიც, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ რომ არ იქნება, ესეც რომ ცნობილი რამაა?!

„სარბიელი“ არასდროს მალავდა თავის კეთილგანწყობას ჯანი კარნევალისა და მისი „ბათუმის“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ „სინიორ 0:0“ ხან ბადმინტონის მასწავლებლად მოინათლა, ხანაც მარკო პოლოდ, მან მაინც შეძლო სოლიდური გუნდის ჩამოყალიბება და ეს „ბათუმის“ აქამდელ სტაბილურობასაც დაეტყო.

ფეხბურთის მწვრთნელის პროფესია სუპერუმადური საქმეა. ჩვენმა მენტალიტეტმა ორი „კაი მასწავლებელი“ იცის — არისტოტელე (იმიტომ, რომ მაკედონელი აღზარდა) და ჭყონდიდელი (იმიტომ, რომ დავით აღმაშენებლის მწვრთნელი იყო). კიდევ კარგი, არც არისტოტელეს, არც ჭყონდიდელის დროს ფეხბურთი არ იცოდნენ, თორემ აქამდე ორივეს ცხრაჯერ მოთხრობდნენ საფლავში. არგუმენტი? ქართული ამბებისა არ იცით? ფეხბურთის გუნდის დაყენება მითხარი შენ, თორემ ალმაშენებელს და მაკედონელს ცხრას გავზრდი მეც, ბოლოს და ბოლოს, ერთი ავტომატით მოვუგებდი ყველას ომსო — იტყვის მავანი და არც შერცხვება.

ეს გვერდზე იყოს და ახლა უკვე ნათქვამ კულუარულ ჭორ-მართალზე. „ბათუმმა“ ამ ბოლო დროს წაგებებს რომ მოუხშირა, ეს გუნდში არსებული რეჟიმის ბრალია, ფეხბურთელებს მობეზრდათ „თავგასული იტალიანოს“ შეუვალობა, ნასათუთევი ქართული მენტალიტეტი ვეღარ ეგუება საფეხბურთო იტალიის პიცა-სპაგეტით ნასაზრდოვებ ფილოსოფიასო და...

კარნევალის ნაოცნებარი ქართული სკუდეტო მულტფილმ „სიზმარას“ პერსონაჟის, ძილის მინისტრის ძილთაშორისებს მეტად ჰგავს, ვიდრე სიმართლესო — ითქვა ესეც.

საქართველოში დაპირებულს და ვერშესრულებულს ჩინოსნებს ჰპატიობენხოლმე, თორემ მწვრთნელს ვერ დაასახელებთ, რაიმე შეშლოდეს და ვინმეს ეპატიებინოს. ამ ბოლო საუბრებს რომ ვუსმენ, კარნევალის ბედისაც მეფიქრება და, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

შეიძლება არცა დგას ასე მწვავედ საკითხი და ყველაფერი მალის შეშით ცხვრის გაწყვეტასა ჰგავს (ალავერდი ქართველ მწვრთნელებთან), მაგრამ ქართულ ფეხბურთზე გადაყოლილი მწვრთნელების „სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს“ და რა ვიცი, ეგებ მართლა არ სძინავს ეშმაკს.

ანდრო ჟორდანიადან დაწყებული, იოჰან ბოსკამპით დამთავრებული ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ნებისმიერი მწვრთნელი ხდებოდა კრიტიკის ობიექტი და, როგორც წესი, ყველაფერი მისი გუნდიდან მოკვეთით მთავრდებოდა.

მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანს, თანაც წარსულზე მარტო კარგს ვლაპარაკობთ-ხოლმე და ახლაც ასე იყოს. ახლანდელ სიტუაციაზე კი ერთს ვიტყვი — ჯანი კარნევალი ბათუმიდან და „ბათუმიდან“ არ უნდა წავიდეს.

ვისაც სული ყელში აქვს მიბჯენილი, ვისაც ერთ დღეში სოფლის აშენება სურს, ადგეს და „იელოვას მოწმეების“ სექტას შეუერთდეს. მაგათ რომ უსმინო, სულ მალე მეორედ მოსვლა დაიწყება და სულ არ არის საჭირო მწვრთნელი. ის კი არა, „გურია“, „მარგვეთი“ და „ალაზანი“ (ალბათ „დურუჯი“ და „კახეთიც“) მოვლენ პირველ ლიგაში (მეორედ) და ამათი „წინა ცხოვრების“ ამბავი რომ ვიცი, მერე ვნახოთ ინტრიგა და აბრაკადაბრა.

ერთ დღეში კი ვერც სოფელს ააშენებ, ვერც მთა-ბარს გაასწორებ, საფეხბურთო გუნდის შექმნისაც რა მოგახსენოთ — გუნდის შენება ხანგრძლივი პროცესია, უცბად ვერც „ბათუმს“, ვერც „ბარსელონას“ ვერავინ ააშენებს და ამის „ათას ერთი ღამის“ ზღაპრივით ყოველდღე მოყოლა არავის უნდა სჭირდებოდეს.

განსაკუთრებით კი ფეხბურთელებს, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ ყველა კონფლიქტი საფეხბურთო გუნდში ფეხბურთელიდან და მწვრთნელიდან იწყება.

რატომ არის კარგი კარნევალი რომ „ბათუმის“ თავკაცია? იმიტომ, რომ სტრატეგიულად მომგებიანია უცხოელი მწვრთნელის აჭარაში მოღვაწეობა — გავიხსენოთ „ბათუმის“ უმსუყესი წინასასეზონო და შუასასეზონო შეკრებები, იტალიური ტურნე და პერსპექტივა...

დიახ, დიახ, პერსპექტივა. ჯანი კარნევალის საქართველოში ჩამოყვანით ქართველ ფეხბურთელებს გზა გაეხსნებათ (პერსპექტივაში!) იტალიურ ლიგებში და ეს დროის ამბავია.

აი, რატომ ვამბობდი, რომ კარნევალის „ბათუმში“ ყოფნა სტრატეგიულად მომგებიანია. ვიღაცა ალბათ სერია „C“-ზე გადაგვკრავს სიტყვას, მაგრამ თუ ვინმე დამარწმუნებს, რომ „ტორპედო“, „დინამო“ ან „ბათუმი“ უპირობოდ შეძლებს სერია „C“-ს ჩემპიონობას, პირველი გამოვუცხადებ კარნევალის ბოიკოტს.

ასეთ რამეში კი ვერავინ დამარწმუნებს, მით უმეტეს, „დინამოს“, „ტორპედოს“, „ბათუმის“ ფეხბურთელები. რადგანაც „კროტონე“ ან „სიენა“ თამამად განაცხადებდნენ საქართველოს ჩემპიონობაზე პრეტენზიას (შესაკრებები კი თავად გადაანაცვლეთ).

საქართველოში გვჩვევია ქილიკი მწვრთნელებზე — ანდრო ჟორდანია ნოე ჟორდანიას ბიძაშვილი იყო, ნოდარ ახალკაცს თაფლი უყვარდა, ბოსკამპი კაფე „ექსცესიდან“ არ გამოდიოდა, გუცაევი ინტრიგებს ხლართავდა ნაკრებში, ერთი საქეიფოდ დადის, მეორე „მერსედესით“ და ამგვარები.

უცოდველი არავინაა. მათ შორის არც მწვრთნელები. სხვის საქმეში ცხვირი ბურატინომ ჩაყოს (გრძელი ცხვირი აქვს), ნიჭიერ კაცს კი, თუ საქმეს კარგად აკეთებს, ვერც უქეიფოდ ყოფნა შეუშლის ხელს და ვერც საქეიფოდ. მტერი ვერ მიხვდა ალექს ფერგიუსონის ცხვირის ფერის შემხედვარე, რომ სერ ფერგი ბახუსს სწყალობს, მაგრამ ამით „მანჩესტერს“ ბევრიც არაფერი აკლდება, მეთანხმებით?

ახლა რაც „ბათუმს“ და კარნევალის შეეხება — ჯანი კარნევალი ბათუმში „აღორძინების“ იმიჯმეიკერად არ ჩამოსულა, მისი საქმე ფეხბურთია და ამ კაცმა იცის რა და როგორ. კულუარულ ჭორ-მართალს ჯანსაღი კრიტიკა ვარჩიოთ და...

ვაცალოთ, ბატონო!

მარტო ხაჭაპურზე ხომ არ დადგა ეს ქვეყანა, ზოგჯერ პიცაც გემრიელია.

**ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**



ბაჩო კორინთელის ფოტო

ბათუმელები კარნევალის საწრთვნელ მეთოდებს უწუნებენ



ბაჩო კორინთელის ფოტო

გიორგი კიკნაძე ისევ დაარიგებს ავტოგრაფებს

# ოსები კიკნაძეს თვის ბოლოს ელიან

ᲤᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ გამოდგა მიმდინარე საფეხბურთო სეზონი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ გიორგი კიკნაძისთვის. ბელგიური „რასინგ-მეხელენიდან“ მოყოლებული, კიკნაძეს უიღბლობა თან სდევს, ამის ძირითადი მიზეზი კი ტრავმაა, რისი წყალობითაც გიორგის თითქმის ნახევარი წელი გაუცდა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელისთვის უსაქმოდ ყოფნა ძნელია, მაგრამ კიკნაძის ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ მისი კარიერა საფრთხის წინაშე დადგა. ნეკნის ძვლის გამოზნექილობა — ასეთი დიაგნოზი დასვეს ექიმებმა და პაციენტს მანუალური თერაპიის კურსიც დაუნიშნეს. თუმცა ექიმებიც არიან და ექიმებიც? კიკნაძეს ავადმყოფობაზე კარგა ხანს ამაოდ ბჭობდნენ თურქი და ქართველი მკურნალები. გზა (სწორი დიაგნოზი) მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ფეხბურთელმა თოდუას სახელობის კლინიკას მიაშურა. მკურნალობის სწორმა კურსმა შედეგი უკვე გამოიღო. კიკნაძე წოლით რეჟიმს აღარ საჭიროებს, თავს კარგად გრძნობს და მომავალსაც იმედის თვალით უყურებს: „ექიმები მაიმედებენ, რომ მაისის ბოლოს მწყობრში ვიქნები. ვარჯიშის და თამაშის საშუალება მომეცემა და მეც მეტი რა მინდა. ტკივილები თითქმის აღარ მაქვს, მაგრამ მკურნალობის კურსი სრულად უნდა გავიარო და ეს თვეც საამისოდ მჭირდება, მერე კი ჩემი დროც დადგება“ — უთხრა „სარბიელს“ გიორგიმ.

სად ითამაშებს კიკნაძე? „კონტრაქტით „ალანიას“ ვეკუთვნი. ოსები ჩემს გამოჯანმრთელებას ელიან, საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს. თვის ბოლოს ვლადიკავკაზში ჩავალ და რუსეთის ჩემპიონატის ბოლომდე იქვე დავრჩები“.

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

# ლევან მელქაძემ ვარჯიში დაიწყო

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ რომ კარგად აეწყო „ვიტ ჯორჯიას“ საქმე. ახალგაზრდული გუნდი მატჩიდან მატჩამდე ხვეწს თამაშს, საჭირო ქულებსაც აგროვებს და მისი ევროსარბიელზე გასვლის შანსიც დღითი-დღე რეალური ხდება.

მიზნის მიღწევაში ვიტელებს ახლა ლევან მელქაძეც დაეხმარება, ფეხბურთელი, რომელიც ამას წინათ საზარდულის ტრავმამ ჩამოაშორა გუნდს და დიდი თავსატეხიც გაუჩინა სერგო კოტრიკაძეს. ვიტელთა მთავარი მწვრთნელისთვის მელქაძის მოსაკლისება მართლაც მტკივნეული იყო, ექიმებმაც სანუგეშო ვერაფერი თქვეს. მათი ვარაუდით, მელქაძე „ვიტ ჯორჯიას“ სეზონის ბოლოსღა თუ შეუერთდებოდა. საბედნიეროდ, შეცდნენ ექიმები. ლევანმა ორიოდე დღეა, ვარჯიში განაახლა, თავსაც კარგად გრძნობს და იქნებ „იბერიასთან“ მეთერთმეტე ტურის კალენდარულ მატჩში ვიტელთა ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდეს.

შეგახსენებთ, ეს ფეხბურთელი ვეტერინარებს პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ შეუერთდა, მანამდე იგი „თბილისის“ ღირსებას იცავდა.

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**



ლევან მელქაძე

# ალანია მზადაა, დაშორდეს გუცაევს და ითამაშოს უეფას თასზე

გაზეთ „სპორტ ექსპრესის“ ცნობით, „ალანიას“ პარტნიორთა საბჭოს სხდომა გადაიდო. ამის მიზეზი ვლადიკავკაზური კლუბის მთავარი მწვრთნელის, ვლადიმერ გუცაევის ავადმყოფობაა — პარტნიორთა საბჭოს სხდომაზე ხომ სწორედ „ალანიას“ საჭესთან გუცაევის ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ჩრდილო ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ (იგი ამავე დროს „ალანიას“ პრეზიდენტიცაა) სერგეი ტაკოევმა განაცხადა — გუცაევი ამჟამად ავადაა და თბილისში იმყოფება. პარტნიორთა საბჭოს სხდომაზე გადავწყვიტეთ, დაველოდოთ მწვრთნელის გამოჯანმრთელებას. როდესაც გუცაევი შეძლებს ვლადიკავკაზში ჩამოსვლას, ერთხელაც შევიკრიბებით და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. გუცაევის საკითხს კოლეგიალურად მივუდგებით, მაგრამ დარჩება თუ არა იგი „ალანიაში“, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

„ალანიას“ პრეზიდენტის დიპლომატიური განცხადების ფონზე ხმამაღლა ჟღერს „სპორტ ექსპრესის“ ცნობა — გუცაევის გუნდიდან წასვლა უკვე გადაწყვეტილია და კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში დაიწყებს მისი შემცვლელის ძებნას. ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ალექსანდრ იანოვსკი ასრულებს და „სატურნთან“ მატჩისთვის იგი ამზადებს „ალანიას“.



ვლადიმერ გუცაევი

ეს ცუდზე და ვლადიკავკაზურ გუნდს ერთი საჩუქარი მოუმზადა განგებამ — „ალანია“ უეფას თასზე ითამაშებს. მას შემდეგ, რაც ელისტის „ურალანი“ რუსეთის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა, საბოლოოდ გაირკვა იმ გუნდების ვინაობაც, ვინც რუსეთის სახელს დაიცავს ევროსარბიელზე — „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ითამაშებენ, უეფას თასზე კი მოსკოვურ გუნდს („დინამო“, ცსკა და „ტორპედო“) მხარს სწორედ ვლადიკავკაზელები დაუმშვენებენ. „ალანიას“ უეფას თასის საგზური შემდეგი მიზეზის გამო ერგო — რუსეთის თასის ორივე ფინალისტმა — „ლოკომოტივმაც“ და ცსკა-მაც ევროსაგზური ადრევე დაიბევეს, ამდენად, თასის მფლობელის კუთვნილ ადგილს უეფას თასზე სწორედ „ალანია“ დაიკავებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# კვეტენაძე ითამაშებს!

რა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც თბილისურმა „მერანმა“ უზბეკურ საფეხბურთო ჩემპიონატის „ანდიჟანში“ გადახვეწილი ცენტრალური ნახევარმცველი გიორგი კვეტენაძე დაიბრუნა.

კარგად გვახსოვს ავჭალური კლუბის მესვეურთა სიხარულიც. კვეტენაძე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლაში დიდად შეგვეწევაო.

შეუერთდა გიორგი „მერანს“ და გაბელაიას შეგირდებიც დაუმარცხებლად მიუყვებოდნენ აღმართს. ითამაშა ნახევარმცველმა ხუთი მატჩი და მერე გუნდის ძირითადში არ გამოჩენილა. ვერც სათადარიგოებში იპოვიდით მის გვარ-სახელს.

გიორგი კვეტენაძეს ტრავმა არ მიუღია, არც სერგო გაბელაიასთან მოსვლია რაიმე კონფლიქტი. მაშ, რაშია საქმე?

უზბეკეთიდან დაბრუნებულ ფეხბურთელს იქაური ფეხბურთის ფედერაციისგან სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოჰყოლია. რადგანაც „მერანი“ თანახმა იყო, კვეტენაძის ყოფილი კლუბისთვის ყველანაირი კომპენსაცია გადაეხადა, ქართულმა მხარემ დროებითი ტრანსფერის უფლებით ისარგებლა და გიორგის 5 მატჩის ჩატარების უფლებაც ებოძა.

მანამდე „მერანმა“ უზბეკურ კლუბს კვეტენაძესთან გაფორმებული კონტრაქტის ასლი მოსთხოვა, გადავხედავთ და თქვენთვის გადასახდელი თანხის ოდენობაზეც შევთანხმდებითო.

მას შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა. შუააზიელები რატომღაც დუმან, არაფერი გამოუგზავნიათ და არც არაფერი შემოუთვლიათ. ფეხბურთელს კი დრო უქმად ეკარგება.

„მერანმა“ ხელმეორედ გაიმეორა თხოვნა, მაგრამ უზბეკეთიდან კვლავ ვერ ეღირსა პასუხს. სხვა გზა არ იყო, ავჭალელებმა ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს, იქნებ რაიმე გვიშველოთო. პრობლემის ასეთ ნაუცბათევ მოგვარებას არც ელოდნენ და როცა ფეხბურთის ფედერაციაში მისულებს საშეჯიბრო კომიტეტმა დადებითი პასუხი დაახვედრა, ძალიან გაუკვირდათ.

კვეტენაძე აუცილებლად ითამაშებს, ეს მეათეში თუ არა, მეთერთმეტე ტურში აუცილებლად მოხდებაო, ასეთი იყო საშეჯიბრო კომიტეტის ვერდიქტი.

თურმე კანონში ასე წერია, თუ ერთმა კლუბმა მეორეს თავისი ყოფილი, მერე უკან დაბრუნებული მოთამაშის კონტრაქტის ასლი მოსთხოვა, მეორე კლუბში ვალდებულია, იგი არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში დააკმაყოფილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშეს (ამ შემთხვევაში კვეტენაძეს), უფლება ეძლევა, ჩემპიონატი ჩაამთავროს, მერე კი საქმე უფრო სერიოზულად გაირჩევა.

„მერანმა“ მოთხოვნა ორჯერ გაუგზავნა „ანდიჟანს“, ორი თვეც გავიდა. ასე რომ, გიორგი კვეტენაძე ავჭალელთა ძირითადში ისევ გამოჩნდება.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი კვეტენაძე (მარცხნივ) ისევ მერანელია




# მივიწყებული და ჯადოსნური



ჩემპიონთა ლიგაზე მოფიქრალ ფრანც ბეკენბაუერს გერმანიის თასი არად უღირს

## გერმანია

„ᲐᲦᲐᲠᲪ კი მახსოვდა, რომ შაბათს გერმანიის თასის ფინალია. გამუდმებით „რეალთან“ საპასუხო მატჩზე ვფიქრობ. ბერლინში ეგებ არც წავიდე“ — ეს სიტყვები „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნის.

2000 წლის 8 მარტი, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი“. „ბაიერნი“ „რეალს“ მასპინძლობს და 89-ე წუთზე ლოთარ მათეუსი მინდვრიდან გადის, კლუბი თავის ვეტერან ლიბეროს ემშვიდობება და... დალმასვლას იწყებს. მართლაც, კლუბი, რომელიც გასულ სეზონში ბუნდესლიგაში უძლიერესი იყო, ხოლო ჩემპიონთა თასის მოგებამდე სამი წუთიღა აშორებდა, წლეულს იქნებ სულაც უტიტულოდ დარჩეს — ლევერკუზენის „ბაიერი“ კვლავაც მეორეობას არ აპირებს, ხოლო ლიგაში...

რაღა რჩებათ მიუნხენელებს სანუგეშოდ? გერმანიის თასი? იქნებ სხვისთვის დიდი წარმატებაც იყოს, მაგრამ არა „ბაიერნისთვის“. ისევ ფრანც ბეკენბაუერს მოვუსმინოთ: „რეალთან“ რევანშის აღება გვწყურია. შექმნილ სიტუაციაში გერმანიის თასის ფინალი ჩვენთვის მეორეხარისხოვანი მატჩია, ფეხბურთელებიც მინდორზე ამ განწყობით გავლენ. „ვერდერმა“ თუ ვერ მოგვიგო, ნიშნავს, რომ ვერასდროს ველარ მოგვიგებენ. და საერთოდ, ამ თასისთვის ბრძოლამ მიმზიდველობა დაკარგა. ერთი ჯილდოთი მეტი გექნება თუ ნაკლები, რა მნიშვნელობა აქვს?“

ბეკენბაუერს კლუბის კომერციული დირექტორი ული ჰიონესიც ეთანხმება. მან აკი ადრევე თქვა, ბერლინში შესუსტებულ შემადგენლობას ჩავიყვანთო. მაგრამ სხვა მოსაზრებაც არსებობს და ის „ბაიერნის“ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ეკუთვნის: „ჩვენი გულშემატკივრების წინაშე თავს არ შევირცხვენთ და უძლიერესი შემადგენლობის გაყვანას ვაპირებ. უეჭველად უნდა მოვიგოთ“. მწვრთნელის მხარესაა ოლივერ კანიც. „გერმანიის თასი ჯადოსნური რამ არის. მისი აღმართვა ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება გახლავთ“ — თქვა მიუნხენელთა მეკარემ.

როგორც ჩანს, ბაიერნელები საერთო აზრამდე ვერ მისულან. აი, ბრემენელთათვის კი ყველაფერი გარკვეულია — გერმანიის თასისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს.

თასის წინა ფინალში „ვერდერმა“ „ბაიერნი“ მართალია, თერთმეტმეტრიანებით, მაგრამ მაინც დაამარცხა. მწვრთნელი თომას შააფი კი ამტკიცებს, რომ მისი გუნდი წლეულს შარშანდელზე უკეთ თამაშობს: „მაშინ ფავორიტად „ბაიერნს“ მიიჩნევდნენ და ახლაც ამასვე ამბობენ. ძნელი თამაში გველის, თუმცა მეტოქის ერთხელ დამარცხება თუ შევძელით, მეორედ რატომ ველარ მოვახერხებთ? მით უმეტეს, უფრო თავდაჯერებულნი ვართ და ამბიციაც ერთიორად მოგვემატა“.

წინა ფინალის გმირი, ბრემენელი მეკარე ფრანკ როსტი, რომელმაც მაშინ ლოთარ მათეუსს პენალტი აუღო, ამბობს: „იმ მატჩში მეტოქემ არად ჩაგვაგდო, ეგონათ, იოლად დაგვამარცხებდნენ და დაისაჯნენ კიდეც. ცხადია, „ბაიერნი“ ის გუნდი არ არის, ერთი და იგივე შეცდომა ორჯერ დაუშვას. ვიცით, რომ მიუნხენელებს რევანშის აღება სურთ და თავსაც დადებენ. საბოლოოდ კი მაინც „ვერდერი“ გაიმარჯვებს“.

რაღა დარჩა? რამდენიმე საათიც და გაირკვევა, ვინ ვის. ბოლო ცნობა კი ასეთია — შტეფან ეფენბერგმა ტრავმა მოიშუშა და ოტმარ ჰიცფელდს სწორედ მისი ეიმედება.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ**

### თასის ფინალი

**ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ — ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ**

**ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ „ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ**

გაიმარჯვა: 9, ფინალისტი: 2

1957 ფორტუნა (დიუსელდორფი) 1:0
1966 დუისბურგი 4:2
1967 ჰამბურგი 4:0
1969 შალკე 2:1
1971 კიოლნი 2:1 დ.დ (1:1)
1982 ნიურნბერგი 4:2
1984 ბორუსია (მიონხენგლადბახი) 1:1 (პენ. 7:6)
1985 ბაიერი (იურდინგენი) 1:2
1986 შტუტგარტი 5:2
1998 დუისბურგი 2:1
1999 ვერდერი 1:1 (პენ. 4:5)

**ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ**

I ეტაპი: ისვენებდა
II ეტაპი: ისვენებდა
III ეტაპი: მეპენი 4:1
IV ეტაპი: ვალდჰოფი 3:0
მეოთხედფინალი: მაინცი 3:0
ნახევარფინალი: ჰანზა 3:2

**ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲘᲡ „ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ**

გაიმარჯვა: 4, ფინალისტი: 2

1961 კაიზერსლაუტერნი 2:0
1989 ბორუსია (დორტმუნდი) 1:4
1990 კაიზერსლაუტერნი 2:3
1991 კიოლნი 1:1 (პენ. 4:3)
1994 როტ ვაისი 3:1
1999 ბაიერნი 1:1 (პენ. 5:4)

**ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ**

I ეტაპი: ისვენებდა
II ეტაპი: ისვენებდა
III ეტაპი: კაიზერსლაუტერნი 2:2 (პენ. 4:3)
IV ეტაპი: ულმი 2:1
მეოთხედფინალი: ბოხუმი 2:1
ნახევარფინალი: შტუტგარტ კიკერსი 2:1 დ.დ. (1:1)

**ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ**

ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ: კანი, ბაბელი, იერემისი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ლიზარაზუ, შოლი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ელბერი

ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, აილტსი, ტრარესი, ფრინგსი, ა. ჰერცოგი, მ. ბოდე, პიზარო

ᲛᲡᲐᲯᲘ: ბერგი

# სუპერმარიოს ბოლო იმედი

ᲔᲠᲗ დროს მრისხანე მარიო ბასლერს ბუნდესნაკრების მაისურის მორგება მონატრებია. აბა, რა იქნებოდა — ბოლოს, 1998 წლის ნოემბერში ითამაშა ამხანაგურ მატჩში ჰოლანდიელთა წინააღმდეგ და ამით მორჩა, მისთვის ნაკრების კარი დაიკეტა.

გეხსომებათ, წესრიგის მოყვარულმა ფრანც ბეკენბაუერმა სუპერმარიო „ბაიერნიდან“ უდისციპლინობის გამო გაუშვა. ფეხბურთელს ეგონა, მაგარი ვარ, ყველაფერი მეპატიებაო. კაიზერ ფრანცი კი უფრო მაგარი გამოდგა. ეს ამბავი გასულ ნოემბერში მოხდა.

დღეს კი 31 წლის კაიზერსლაუტერნელი იხვეწება: „ყველაფერს გავიღებ გერმანიის ნაკრების სასიკეთოდ, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ, სადაც ერიხ რიბეკი საჭიროდ მიიჩნევს, ჩემს თითოეულ სიტყვას და მოქმედებას ყურადღებით დავაკვირდები, ოღონდაც ნაკრებში დამაბრუნონ“.

ევროპის ჩემპიონატამდე კი სულ ცოტა დრო რჩება. მწვრთნელები, მათ შორის გერმანელთა, ბელგია-ჰოლანდიაში წასაყვანთა სიებს აზუსტებენ. და მარიო ბასლერი? ერიხ რიბეკი მასზე ჯერჯერობით დუმს.




მარიო ბასლერს ნაკრებში თამაში უნდა

## ფეხბურთის რუკასთან



ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚ მცველ მაურისიო პოჩეტინიოს „ესპანიოლი“ ახალ ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს. მიმდინარე შეთანხმება მას გაისად უსრულდება. ესპანურ პრესის ცნობით, კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელს ხელფასის 15-20 პროცენტით გაზრდას დაჰპირდა. პოჩეტინიო ჯერჯერობით არაფერს ამბობს: „რამდენიმე ძლიერ კლუბი მეპატიჟება, დაზუსტებით არაფერი ვიცი. “ესპანიოლთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე დავფიქრდები და პასუხს უახლოეს მომავალში ვიტყვი“. კატალონიური სააგენტოები იუწყებიან, რომ 28 წლის მცველს მადრიდის „რეალმა“, „ვალენსიამ“ და სანდერლენდმა“ დაადგა თვალი.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ „კიოლნის“ ნიგერიელი მცველის პასკალ ოჯიგვეს ყიდვას ცდილობს. ოჯიგვე ოფიციალურად „კაიზერსლაუტერნში“ ირიცხება და მეორებუნდესლიგურ გუნდში მხოლოდ განათხოვრებით თამაშობს. ფეხბურთელის ტრანსფერი „კაიზერის“ ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, „კიოლნის“ შეფობა აცხადებს: „პასკალი ჩვენთან მხოლოდ სეზონის ბოლომდეა, ამის შემდეგ იგი თავად გადაწყვეტს სად წავიდეს“.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲛᲐ „ვოლფსბურგმა“ „ლევერკუზენის“ 22 წლის ნახევარმცველი საიმონ ფანელი გადაიბირა. ეს უკანასკნელი ლევერკუზენური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და კარიერის გაგრძელება სხვაგან არჩია. „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელობის ცნობით, ფეხბურთელი გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფანელი ჯერჯერობით სარეზერვო გუნდში ითამაშებს და ძირითად შემადგენლობაში მომავალი სეზონიდან გამოჩნდება.

**ᲠᲣᲡᲛᲐ ნახევარმცველმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ერთ-ერთ ვარჯიშზე მყესი დაიჭიმა და „სელტას“ პრიმერადივიზიონის დარჩენილ ტურებში ველარ დაეხმარება. ფეხბურთელს ხელმეორე გამოკვლევას უახლოეს დღეებში ჩაუტარებენ. ექიმები იმედოვნებენ, რომ მოსტოვოი ვარჯიშს წინასასეზონო შეკრების დროს, ივლისში განაახლებს.**

ᲩᲔᲮᲘ ნახევარმცველი ტომას გალაშეკი „აიაქსში“ გადავიდა. ჰოლანდიური პრესის ცნობით, ფეხბურთელმა ამსტერდამულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 27 წლის გალაშეკი 1996 წლის შემდეგ „ტილბურგში“ თამაშობდა. იგი პირველი ჩეხი ფეხბურთელია, რომელიც „აიაქსში“ ჩაირიცხა. სატრანსფერო თანხა კლუბებს არ გაუმხელიათ.

**ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ახალმა ჩემპიონმა „ანდერლეხტმა“ ორი ფეხბურთელი შეიძინა. ბრიუსელელებმა „მუსკრონიდან“ ნახევარმცველი ივს ვანდერჰეიგი, „გენკიდან“ კი იუგოსლავიელი ბესნიკ ჰასი გადაიბირეს. 30 წლის ვანდერჰეიგმა წლეულს ჩინებული სეზონი ჩაატარა, იგი „მუსკრონის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ. იუგოსლავიელი ჰასი კი 28 წლისაა, იგი „გენკში“ 1994 წლიდანაა და შარშან ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. მანამდე ჰასი „მიუნხენ 1860“-ში თამაშობდა. დამდეგ უქმეებზე ორივე ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც მაშინ გააფორმებს.**

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატის პირველი დივიზიონიდან უკვე გავარდნილი „მონპელიეს“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ჟულიენ ბრელიე „ინტერში“ გადაბარგდა. იტალიური პრესის განცხადებით, 18 წლის ნახევარმცველმა მილანურ გრანდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მონპელიეს“ მწვრთნელი მიშელ მეზი ამბობს: „ჩვენნაირი სუსტი გუნდები ახალგაზრდა ტალანტებს ვერასდროს შეინარჩუნებენ. პირველი დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ, არ არის გამორიცხული, კლუბი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს“.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ „ლანსის“ მცველ ჟოზე პიერ ფანფანის გადაბირებას ლამობს. 24 წლის ფეხბურთელმა წლეულს ჩინებულად ითამაშა და 24 შეხვედრაში 2 გოლიც გაიტანა. „ლანსის“ პასუხი ჯერჯერობით უცნობია, გერმანელებს სატრანსფერო თანხა და შეთანხმების პირობები არ დაუკონკრეტებიათ.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ნიუკასლის“ მცველი მარსელინიო ელენა შესაძლოა ესპანეთში დაბრუნდეს და „დეპორტივოში“ ჩაირიცხოს. „მალიორკას“ ყოფილი ფეხბურთელი „კაჭკაჭთა“ ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდება, მან მხოლოდ 13 შეხვედრა ჩაატარა, ამიტომ ინგლისის დატოვება სურს. „ნიუკასლის“ თავკაცი ბობი რობსონი სეზონის ბოლოს, ალბათ, რამდენიმე მოთამაშეს გაუშვებს. კონკრეტულად მარსელინიოზე მას ჯერჯერობით არაფერი უთქვამს.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ დიტმარ კუჰბაუერი სეზონის ბოლოს „რეალ სოსიედადს“ დატოვებს და „ვოლფსბურგში“ გადავა. 24 წლის ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მომავალ კვირას კუჰბაუერს ექიმები გასინჯავენ და შემდეგ შეთანხმებას ოფიციალურად მოაწერს ხელს. ავსტრიელს მშობლიური გუნდები — ვენის „რაპიდი“, ინსბრუკის „ტიროლი“ და გრაცის „შტურმი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა „ვოლფსბურგში“ გადასვლა არჩია.**

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ნახევარმცველი დიმიტრიოს გრამოცისი „კაიზერსლაუტერნში“ გადაბარგდა. „ჰამბურგის“ ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ექვსწლიანი შეთანხმება გააფორმა. „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 21 წლის ფეხბურთელში 1,1 მილიონი დოლარი გადაიხადა.

# ჰაჯიბეგიჩმა მტვერსასრუტი ჩართო

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, სევილიის „ბეტისმა“ მწვრთნელი შეიცვალა. პრიმერა დივიზიონიდან გასავარდნად გამზადებულმა კლუბმა ჰოლანდიელი გუს ჰიდინკის სამსახურზე უარი თქვა და ყოფილი ბეტისელი, ბოსნიელი ფარუკ ჰაჯიბეგიჩი მიიწვია.

ესპანეთში ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. საეჭვოა, ახალმა მწვრთნელმა ამ მცირე დროში რაიმე სასწაული მოახერხოს და გუნდი უძლიერესთა შორის დატოვოს. ის წინ იყურება და მისვლისთანავე ფეხბურთელებს სათითაოდ გაესაუბრა. ჰაჯიბეგიჩმა ბეტისელებს ერთი კითხვით მიმართა: უკავშირებენ თუ არა ისინი თავის მომავალს სევილიურ კლუბს? როგორც ირკვევა, უმრავლესობას წასასვლელი არსაით აქვს. გამონაკლისად დენილსონი შეიძლება ჩაითვალოს.

1997 წელს „ბეტისმა“ ყმაწვილი ბრაზილიელი „სან პაულუდან“ საარაკო თანხად — 35 მილიონ დოლარად შეიძინა და მისი დიდი იმედიც ჰქონდა. მაგრამ რა მივიღეთ? კლუბი პრიმერადივიზიონიდან ვარდება, ხოლო დენილსონის სახელს სეზონში ერთი ორჯერ თუ გავიგონებთ. ფეხბურთელსაც ესპანეთზე გული აჰყრია და იტალიისკენ უჭირავს თვალი. ჰაჯიბეგიჩმაც ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და სარფიანი წინადადება თუ მიიღო, დენილსონის გაყიდვაზე ყაბულსაა.



სერგეი რებროვი

# მეგობრული რჩევა
## ოლეგ ლუჟნის რებროვი „ტოტენჰემისთვის“ არ ემეტება

სერგეი რებროვმა „ტოტენჰემში“ გადასვლაზე უარი უნდა განაცხადოსო, ამბობს ფეხბურთელის თანამემამულე და მისი ყოფილი თანაგუნდელი ოლეგ ლუჟნი, რომელიც ამჟამად „არსენალის“ ღირსებას იცავს.

ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინელი ფორვარდი „ტოტენჰემში“ გადადის და ლონდონური კლუბი კიევის „დინამოს“ 10 მილიონ გირვანქას უხდის.

შესაძლო ტრანსფერით უკმაყოფილოა რებროვის მეგობარი ოლეგ ლუჟნი, რომელიც აცხადებს, რომ უკრაინელმა გაცილებით მაღალი დონის გუნდში უნდა ითამაშოს: „მიკვირს, სერგეიმ „ტოტენჰემი“ რომ არჩია, მე იგი უფრო დიდი და სახელოვანი გუნდისთვის მემეტება. როგორც მეგობარს, ინგლისში გადმოსვლა ვურჩიე. არ დაგიმალავთ, რომ ძლიერ მსურს მან „არსენალში“ ითამაშოს. ბავშვობიდან ვიცნობ, „დინამოში“ ერთად ვიზრდებოდით. იგი ჩინებული ფეხბურთელი და ბომბარდირია. ეჭვიც არ მეპარება, რომ პრემიერლიგაში დიდ წარმატებას მიაღწევს. დღეს ბევრ რამეს ფული განსაზღვრავს. თუ „ტოტენჰემმა“ „დინამოს“ ხელსაყრელი წინადადება შესთავაზა, ალბათ მიაღწევს კიდეც მიზანს, მაგრამ ვიმეორებ, სერგეი გაცილებით მაღალი დონის გუნდში თამაშს იმსახურებს!“

უდავოა, ლუჟნის სურს, რომ თანამემამულე და მეგობარი გვერდით ჰყავდეს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ყველაფერი „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უნდა გადაწყვიტოს — გამოგიტყდებით, სერგეისთან ერთად თამაში მსურს, მაგრამ, ეს ჩემი გადასაწყვეტი როდია. საბოლოო სიტყვა ვენგერს ეკუთვნის.

„ტოტენჰემს“ კიევის „დინამოსთვის“ 10 მილიონი გირვანქა შეუთავაზებია, მაგრამ უკრაინელები მეტს ითხოვენ, ამიტომ შეთანხმება ჯერჯერობით შეფერხდა.

ლონდონურმა გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა“ კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ რებროვს რამდენიმე წლის წინ დაშავებული მუხლი ჯერ კიდევ აწუხებს, რამაც შესაძლოა ტრანსფერი ჩაშალოს. თავად უკრაინელი ამას უარყოფს. „ის ტრავმა კარგა ხნის წინ მომიშუშდა. ადრე მუხლი ძლიერ მტკიოდა, მაგრამ გერმანიაში ვიმკურნალე და დღეს სავსებით ჯანმრთელი ვარ“ — განუცხადა რებროვმა ერთ-ერთ რუსულ გაზეთს.

რამდენიმე თვის წინ უკრაინელის შეძენას შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო რეინჯერსიც“ ცდილობდა და კიევის „დინამოს“ 12 მილიონ გირვანქას უხდიდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. „მოლაპარაკებები უცებ შევწყვიტეთ, პრობლემა წარმოიქმნა, რასაც ყურადღება გვიან მივაქციეთ“ — განაცხადა „რეინჯერსის“ თავმჯდომარემ დევიდ მიურეიმ, თუმცა მიზეზის დაკონკრეტება არ ისურვა.

**ნიკა შუბლაძე**

### საბერძნეთი

30-ე ტური. კავალა — კალამატა 0:1; პრუდეფტიკი — პაოკ 1:0; ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 2:0; აპოლონი — ტრიკალა 5:2; პანილიაკოსი — არისი 1:2; ირაკლისი — ოფი 0:3; ეთნიკოსი — ქსანთი 1:0; პანაჰაიკი — პანათინაიკოსი 1:0; პანიონიოსი — აეკ 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 26 | 2 | 2 | 77:17 | 80 |
| პანათინაიკოსი | 30 | 24 | 4 | 2 | 76:22 | 76 |
| ოფი | 30 | 16 | 9 | 5 | 54:37 | 57 |
| აეკ | 30 | 16 | 6 | 8 | 56:37 | 54 |
| არისი | 30 | 13 | 7 | 10 | 43:37 | 46 |
| პანიონიოსი | 30 | 14 | 2 | 14 | 46:51 | 44 |
| პაოკ | 30 | 11 | 10 | 9 | 48:38 | 43 |
| ირაკლისი | 30 | 13 | 4 | 13 | 50:52 | 43 |
| ქსანტი | 30 | 10 | 8 | 12 | 32:38 | 38 |
| იონიკოსი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:43 | 37 |
| პანაჰაიკი | 30 | 8 | 11 | 11 | 31:38 | 35 |
| კალამატა | 30 | 9 | 8 | 13 | 31:49 | 35 |
| პანილიაკოსი | 30 | 10 | 4 | 16 | 36:43 | 34 |
| ეთნიკოსი | 30 | 10 | 4 | 16 | 26:45 | 34 |
| კავალა | 30 | 8 | 6 | 16 | 31:52 | 30 |
| პრუდეფტიკი | 30 | 6 | 7 | 17 | 25:44 | 25 |
| აპოლონი | 30 | 6 | 6 | 18 | 27:46 | 24 |
| ტრიკალა | 30 | 4 | 6 | 20 | 28:64 | 18 |

### ნორვეგია

მე-5 ტური. ბრანი — ტრომსიო 2:0; ჰაუგესუნდი — ბრინი 3:1; ლილესტრიომი — სტარტი 4:0; მოლდე — ოდ გრენლანდი 3:2; მოსი — ვოლერენგა 2:1; სტაბეკი — ბოდიო გლიმტი 6:1; ვიკინგი — რუსენბორგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| მოლდე | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| რუსენბორგი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| მოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ოდ გრენლანდი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ბოდიო გლიმტი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:10 | 8 |
| ჰაუგესუნდი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:11 | 7 |
| სტაბეკი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 6 |
| ტრომსიო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:11 | 6 |
| ლილესტრიომი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:6 | 5 |
| ვოლერენგა | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 5 |
| ვიკინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ბრინი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | 4 |
| სტარტი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

# გადასახლება ინგლისურად

ადრე იყო, ინგლისელ მსჯავრდებულებს ერთ დიდ გემში ჩასხამდნენ და შორეული ავსტრალიის გზას გაუყენებდნენ. რაც ამას მოჰყვა, აბა, ვინ არ იცის. ამჟამად, შესაძლოა, ისტორია განმეორდეს. ოღონდ, ცხადია, დროისთვის შესაფერისად.

„გადასახლება“ ინგლისის ნაკრებისა და „ლიდს იუნაიტედის“ 20 წლის მცველ ჯონათან ვუდგეიტს ემუქრება. თუ გახსოვთ, მან და ამავე კლუბის ნახევარმცველმა ლი ბოიერმა ორიოდ თვის წინ მავანი აზიელი გალახეს. ჰოდა, სასამართლო საბოლოო განაჩენს 9 ივნისს გამოიტანს. თუ ვუდგეიტი გაამტყუნეს, ციხეში ჯდომა არა, მაგრამ მშობლიური კლუბის დატოვება, ალბათ, მოუწევს. საქმე ისაა, რომ ამ ნიჭიერი მცველით „იუვენტუსი“, „რომა“ და „ინტერი“ არიან დაინტერესებულნი. ტურინულმა კლუბმა უკვე მიმართა „ლიდსის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილს და 10 მილიონი გირვანქაც შესთავაზა. „იუვეს“ წინადადება არავის გაჰკვირვებია: ჩირო ფერარა 33 წლისაა, ურუგვაელი პაოლო მონტერო — 29-ის. როდემდე იქნებიან ტურინში ამათ იმედად? „იუვენტუსის“ ერთ-ერთი მოხელის თქმით, ვუდგეიტი მეტად მზარდი და ნიჭიერი ფეხბურთელია და მისი ოსტატობის ზრდა დღითიდღე თვალნათლივი ხდება.

უფრო შორს წავიდა „რომა“, რომელიც სწორედ „ლიდსმა“ ჩამოაშორა ამ სეზონის უეფას თასს — მან ორივე ცენტრალური მცველის, ვუდგეიტისა და სამხრეთაფრიკელი ლუკას რადებეს ყიდვა დააპირა. არც „ინტერია“ უქმად და „იუვეს“ ვუდგეიტის შეძენაში რომ ეპაექრება, თან „ქოვენთრისთან“ ვაჭრობს ირლანდიელი რობი კინის თაობაზე.


ჯონათან ვუდგეიტი

თუმცა, გაყიდის კი რიდსდეილი ვუდგეიტს? „ყველაფერი 9 ივნისს, სასამართლოზე გაირკვევა“ — ამბობს „ლიდსის“ თავმჯდომარე — „თუ ჯონათანი გაამტყუნეს, მაშინ უპირობოდ გავყიდი. და ვინაიდან მისი სხვა პრემიერლიგურ გუნდში გადასვლა ნამდვილად არ მსურს, სწორედ რომელიმე იტალიურ კლუბში გავუშვებ. თავად მაგ ბიჭისთვის იქნება კარგი — უცხოეთში ითამაშებს და აქ მაშინ დაბრუნდება, როცა მისი ჩხუბის ამბავი ყველას დაავიწყდება და სასამართლოს განაჩენი მტვრით დაიფარება“.

მოკლედ, 9 ივნისს „ლიდსის“ ცენტრალურ მცველს, შესაძლოა, მოსამართლემ თავისდაუნებურად გადასახლება მიუსაჯოს. სადმე, ტურინში, ანაც რომში.

# არც მთლად უჩვეულოდ

UNDER-16 Championship

დრო იყო, 1 მაისს მწყობრში ვდგებოდით და სულელური ტრანსპარანტი თუ არ გვეჭირა, მავანთ ხელს ვუქნევდით. ახლაა და, ნორმალურ ქვეყნებში მცხოვრები არანორმალურები მტვრევითა და ნგრევით აღნიშნავენ მშრომელთა დღეს. წლეულს გამონაკლისი ისრაელი გახლდათ, სადაც ამ დღეს 16 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი დაიწყო. თუ გახსოვთ, საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთისას დაუთმო საგზური — თბილისში, შარშან ოქტომბერში. ბერძნებმა მაშინ ჩვენ ბულგარებელი და ხორვატებიც მოგვაყოლეს და ახლა ებრაულ სტადიონებზეც არცთუ ურიგოდ ირჯებიან.

ოთხ ჯგუფად დაყოფილი 16 გუნდი ჯერჯერობით მეოთხედფინალში გასასვლელად იბრძვის. გუშინ წინასწარი ეტაპის მატჩები ორ ჯგუფში დამთავრდა.

### A ჯგუფი

ინგლისი — რუსეთი 2:3, პორტუგალია — ირლანდია 1:0, რუსეთი — ირლანდია 3:0, პორტუგალია — ინგლისი 2:1, პორტუგალია — რუსეთი 1:2, ირლანდია — ინგლისი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ინგლისი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:7 | 0 |

რუსებმა თითქმის უპრობლემოდ გადალახეს პირველი ეტაპი, თუმცა სასტარტო შეხვედრისას 58-ე წუთამდე აგებდნენ. ამ დროს ტურნირის მონაწილე ერთადერთმა ქართველმა, სოჭის „ჟემჩუჟინას“ ნახევარმცველმა გიორგი მიქაძემ ანგარიში გაათანაბრა, 7 წუთში კი ინგლისელებმა კიდევ ერთი გაუშვეს და ეს მარცხი ისე განიცადეს, გონზე მოსვლა ვერც დარჩენილ ორ მატჩში მოახერხეს. რუსებმა კი მეორე შეხვედრაში ბრიტანელთა მეზობელი ირლანდიელებიც დასცეს, ძირითადად ფრანგული „სენტ ეტიენის“ თავდამსხმელის, დმიტრი კუდრიაშოვის კარგი თამაშის და მისი ორი გოლის წყალობით. ალმა-ათის „ქაირათის“ ყოფილი მოთამაშის, სერგეი სტუკაშოვის შეგირდები მეოთხედფინალში უდანაკარგოდ გავიდნენ.

### C ჯგუფი

გერმანია — უნგრეთი 4:1, ისრაელი — ჰოლანდია 0:2, გერმანია — ჰოლანდია 1:0, ისრაელი — უნგრეთი 1:3, ჰოლანდია — უნგრეთი 2:0, ისრაელი — გერმანია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ისრაელი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

მასპინძლებს ისეთი სუსტი ნაკრები ჰყავდათ, მშობლიურმა გარემომაც ვერ უშველა, მეოთხედფინალში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელები და ჰოლანდიელები გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ნაცნობი გვარი ჰოლანდიის ნაკრებშიც აღმოვაჩინეთ — არა, ქართველს იქ რა უნდა — ზეედორფზე ვამბობთ. ცნობილი კლარენსის ძმა, სედრიკი, მადრიდის „რეალში“ რომ ირიცხება, ღედმამიშვილურ ტრადიციას არ ღალატობს და ნახევარდაცვაში თამაშობს. როგორი ბიჭია, ქართველ არბიტრს, ლევან ფანიაშვილს შეგიძლიათ ჰკითხოთ — მან ჰოლანდიელთა უნგრეთთან მოგებული მატჩი იმსაჯა.

დანარჩენი ორი ჯგუფის მესამე წრის მატჩები დღეს გაიმართება. მათზე — სამშაბათის „სარბიელში“.

# ო-ო, რა ვნებებია! სკუდეტოც, ლიგაც...

### იტალია

ხვალ სერია A-ს ბოლოსწინა ტურია. ხო-ხო,. რა თამაშებია, იტყვიან ჩვენში და არა მარტო აქ. ასეცაა, აპენინებზე ჩვეულებრივი მატჩები თითქმის არ არსებობს და ხვალ რა იქნება, თავად განსაჯეთ.

**იუვენტუსი — პარმა**

ტურინელებმა წინა ტურში მოულოდნელად ვერონაში 0:2 წააგეს, „ლაციოც“ ორი ქულით მიახლოვეს და სკუდეტოც საეჭვოდ გაიხადეს. თუმცა... კარლო ანჩელოტი, „ბებერი ქალბატონის“ თავკაცი: „მართალია, „ლაციო“ მოგვიახლოვდა, მაგრამ მჯერა, ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდებით“. ანჩელოტიმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხბურთელებს რაგბი(!) ათამაშა. ძალისმიერი ფეხბურთი უნდა შევთავაზოთ პარმელებსო.

„პარმა“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, „იუვეს“ მსგავსად წინა ტურში წაფორხილდა. პარმელებმა „უდინეზეს“ ვერ მოუგეს, ფრეს დასჯერდნენ.

რა იქნება ხვალ? „დელე ალპიზე“ ანჩელოტი თავის ყოფილ გუნდს სეზონში მეორედ შეხვდება. დინო ბაჯო კი, რომელიც „პარმაში“ სწორედ „იუვენტუსიდან“ გადავიდა და ანჩელოტისთანაც კი წაუმუშავია, ამბობს: „კარლიტო დიდი ფეხბურთელი იყო, ამასთანავე ჩინებული მწვრთნელიცაა. მას ყველა დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმეს იოლად დავთმობთ. ჩვენ ჩვენი ანგარიშები გვაქვს“.

ერნან კრესპო, რომელსაც 21 ბურთი აქვს გატანილი, ხვალ ყველანაირად ეცდება, უგოლოდ არ დარჩეს, თუმც მან თქვა, ბომბარდირობა კარგია, მაგრამ მთავარია, მოვიგოთო.

ერთი სიტყვით, ორივე მოგებაზეა დაგეშილი, ფრე ორივესთვის წამგებიანია.

**ბოლონია — ლაციო**

რომაელები ჯერაც ჩემპიონობაზე ოცნებობენ, მაგრამ ხვალ ალბათ ძირითადის სამი კაცი არ ეყოლებათ. ერთი ნალდია, სიმონე ინძაგი ვერ ითამაშებს, დისკვალიფიცირებულია. საეჭვოა ლუკა მარკეჯანისა და დიეგო სიმეონეს თამაშიც, ისინი საბოლოო სამედიცინო შემოწმებას მატჩის დაწყებამდე გაივლიან. სამაგიეროდ, კბილებს ილესავს ყოფილი რომაელი ჯუზეპე სინიორი, რომელსაც „ლაციოს“ მაისურით სერია A-ში 106 გოლი გაუტანია.

სტუმრებს ხელს მხოლოდ ერთი შედეგი აძლევთ — მოგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახვამდის, სკუდეტო! — იტყვიან რომში. მაინც გავკადნიერდებით და ვიტყვით, ალბათ „ლაციო“ მოიგებს.

**რომა — მილანი**

კაპელო-„მილანი“, ეს მატჩი ასეც შეიძლება მოვნათლოთ. რომაელთა თავკაცი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. პირველ წრეში, 10 იანვარს, „რომამ“ „სან სიროზე“ 2:2 ითამაშა, არადა, 23 წუთით ადრე 2:1 იგებდა.

ხვალინდელი მატჩი ორივე გუნდისთვის ბევრს წყვეტს. სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზური ძევს. „რომასთვის“ ეს ბოლო შანსია, როსონეროები ფრეზეც ყაბულს არიან, თუმცა ერთი კაცი ვერ ისვენებს, ეს ანდრეი შევჩენკოა: „თითქმის გავიყინე, აგერ უკვე მერამდენე ტურია, ბურთი ვერ გამიტანია. იქნებ ნავსი გავტეხო, მით უმეტეს, „სტადიო ოლიმპიკო“ ასე ვთქვათ, ნაცნობი ადგილია, ერთხელ ხომ აქ ჰეთ თრიქი შევასრულე“.

მილანელებს სავარაუდოდ ალბერტინი, სერჯინიო და მალდინი არ ეყოლებათ, მასპინძლებს კი მილანში დაბადებულ-გაზრდილი მცველი ამადეო მანგონე — იგი დისკვალიფიცირებულია.

**ინტერი — ფიორენტინა**

სულ ახლახან ამბობდნენ, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა ახალი სეზონიდან „ინტერში“ გადავაო, თუმც ბატი-გოლმა თქვა, აქაც ბედნიერი ვარ, მაგრამ გამაგებინეთ, რა ხდება, უნდათ ფლორენციაში ჩემი დატოვება თუ არაო.

ალბათ, ბატისტუტა „სან სიროზე“ მასპინძლების გამწარებას შეეცდება. რატომ? სერია A მსოფლიოში ჯერაც უძლიერეს ლიგად რჩება, მისი ბომბარდირობა კი... ბატისტუტას 20 ბურთი აქვს გატანილი, საუკეთესო მეგოლეობაც შორს არ უნდა იყოს.

„ფიორენტინა“ ოთხ კაცს მოისაკლისებს — ჰაინრიხს, ტორიჩელის, მიატოვიჩს და პადალინოს. მათთან შედარებით, ფრანჩესკო მორიეროს, „ინტერის“ ნახევარმცველის არყოფნა ზღვაში წვეთია.

**გიორგი ვაშაკიძე**

## საფრანგეთი

XXXIII ტური

**ლიონი 2:1 ბასტია**
0:1 ნე (16), 1:1 ვიოლო (45), 2:1 ლეგლი (48)

**მარსელი 2:2 ნანსი**
1:0 პუჟე (31), 1:1 ვიარი (52), 2:1 პერესი (75), 2:2 მენირი (84)

**ბორდო 1:2 ლანსი**
0:1, 0:2 ნუმა (26, 35), 1:2 ზიანი (65)

**სტრასბური 0:1 სენტ ეტიენი**
0:1 ალექსი (38)

**ოსერი 4:0 რენი**
1:0 გივარში (40), 2:0 მარლე (56), 3:0 გივარში (59), 4:0 დიომედი (65)

**მეცი 3:1 ტრუა**
1:0 არპინონი (4 ს.კ.), 2:0 ტოი (39), 2:1 ლანგი (78), 3:1 ბატიკლი (79)

**მონაკო 5:2 ლე ავრი**
1:0 სიმონე (20), 2:0 გალიარდო (46), 2:1 ბუზელინი (68), 3:1 სიმონე (70), 4:1 ტრეზეგე (76), 4:2 კუსტოვიჩი (79), 5:2 ტრეზეგე (83)

**ნანტი 1:0 სედანი**
1:0 ტურე (61)

**პსჟ 3:0 მონპელიე**
1:0 რობერი (2), 2:0 ლერუა (67), 3:0 დიუკრო (90)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ დასრულებამდე ტურით ადრე ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი კიდევ ერთი გუნდი გამოვლინდა. პსჟ-მ შინ აუტსაიდერი „მონპელიე" დაამარცხა 3:0 და უახლოეს მდევარ „ლიონს" 2 ქულით გაუსწრო.

უკანასკნელ ტურში, რომელიც 13 მაისს ჩატარდება, პარიზელები „ტრუას" სტუმრობენ. მათ ფრეც ჰყოფნით მეორე ადგილზე დასარჩენად და გაისად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში პირდაპირ მოსახვედრად.

გამოვთვალოთ, თუ მომდევნო ტურში პსჟ-მ არ წააგო და ქულა მაინც მოიპოვა, ხოლო მისმა უშუალო კონკურენტმა „ლიონმა" მოიგო, ორი გუნდი ერთნაირ ქულებს დააგროვებს, თუმცა დედაქალაქელები ლიონელებს ბურთების უკეთესი შეფარდებით სჯობნიან (თუ ბოლო ტურში „ლიონმა" ასტრონომიულად დიდი ანგარიშით არ მოიგო) და მეორე ადგილზე სწორედ ისინი გავლენ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი არითმეტიკული გამოთვლა აზრს კარგავს, თუ პსჟ მომდევნო ტურში გაიმარჯვებს, ამ შემთხვევაში მას „ლიონი" ვეღარ შეეცილება.

პარიზელთა მწვრთნელ ფილიპ ბერჟეროს ეს ყველაფერი კარგად მოეხსენება. მას, ცხადია, მოგება სურს და ამას არ მალავს: „მართალია, მეორე ადგილი თითქმის გავინაღდეთ, მაგრამ გამორიცხული არაფერია, ამიტომ ტრუაში მხოლოდ ქულის აღებაზე როდი ვიფიქრებთ, მოსაგებად ჩავალთ".

ჩემპიონთა ლიგაში მესამეადგილოსანიც გავა, მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს ასპარეზობა. მესამე ადგილს ერთმანეთს „ლიონი" და „ბორდო" ედავებიან, თუმცა „ლიონს" უპირატესობა აქვს — კონკურენტს ორი ქულით უსწრებს. „ბორდომ" შინ „ლანსთან" პრინციპული შეხვედრა წააგო 1:2, რაც შესაძლოა ძვირად დაუჯდეს. „დღევანდელმა მარცხმა აშკარად უკან დაგვხია. ბოლო რამდენიმე შეხვედრაში წარმატებით ვითამაშეთ. ახლა კი წავიბორძიკეთ — განაცხადა „ბორდოს" მწვრთნელმა ელი ბოპმა — სამწუხაროა, მაგრამ ვღარაფერს გახდები, ჩემპიონთა ლიგის საგზურის ბედი ახლა სხვის ხელშია".

მესამეადგილოსნის ვინაობაც 13 მაისს გაირკვევა, როცა „ბორდო" „ბასტიას", ხოლო „ლიონი" „მონპელიეს" ესტუმრება.

გასავარდნი ორი გუნდიც უკვე გამოვლინდა — „ლე ავრი" და „მონპელიე" გაისად მეორე დივიზიონში იასპარეზებენ. „ლე ავრი" სტუმრად ჩემპიონ „მონაკოსთან" დამარცხდა 2:5 და გადარჩენის თეორიული შანსიც კი დაკარგა.

მესამე კლუბის ვინაობას კი ბოლო ტური გაარკვევს. სახიფათო ზონას ოდნავ მოშორდა 1995 წლის ჩემპიონი „ნანტი", რომელმაც შინ „სედანს" 1:0 სძლია, თუმც დამშვიდების საბაბი ნამდვილად არ აქვს. „სედანთან" გამარჯვებით საფრთხე ავიცილეთ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მოსალოდნელია" — აღნიშნა „ნანტის" თავკაცმა რეინალდ დენიომ.

გუნდს კიდევ ერთი საფიქრალი აქვს — კვირას საფრანგეთის თასის ფინალში მეოთხედივიზიონელ „კალესთან" ორთაბრძოლა ელის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 33 | 20 | 5 | 8 | 68:35 | 65 |
| პსჟ | 33 | 16 | 9 | 8 | 52:38 | 57 |
| ლიონი | 33 | 16 | 7 | 10 | 43:40 | 55 |
| ბორდო | 33 | 15 | 8 | 10 | 51:39 | 53 |
| ოსერი | 33 | 13 | 8 | 12 | 37:37 | 47 |
| სედანი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:42 | 47 |
| ლანსი | 33 | 13 | 7 | 13 | 39:41 | 46 |
| სტრასბური | 33 | 13 | 7 | 13 | 42:49 | 46 |
| სენტ ეტიენი | 33 | 12 | 9 | 12 | 43:46 | 45 |
| მეცი | 33 | 9 | 17 | 7 | 38:31 | 44 |
| ბასტია | 33 | 11 | 11 | 11 | 42:38 | 44 |
| ტრუა | 33 | 13 | 3 | 17 | 34:50 | 42 |
| მარსელი | 33 | 9 | 14 | 10 | 43:43 | 41 |
| ნანტი | 33 | 11 | 7 | 15 | 38:40 | 40 |
| რენი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:48 | 40 |
| ნანსი | 33 | 10 | 9 | 14 | 41:45 | 39 |
| ლე ავრი | 33 | 9 | 7 | 17 | 30:51 | 34 |
| მონპელიე | 33 | 7 | 9 | 17 | 37:48 | 30 |

**XXXIV ტური**

13 მაისი

| | |
|---|---|
| ნანსი | ოსერი |
| ბასტია | ბორდო |
| მონპელიე | ლიონი |
| სედანი | მარსელი |
| რენი | მეცი |
| სენტ ეტიენი | მონაკო |
| ლე ავრი | ნანტი |
| ტრუა | პსჟ |
| ლანსი | სტრასბური |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანდერსონი (ლიონი) | 22 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 22 |
| სიმონე (მონაკო) | 20 |
| კრისტიანი (პსჟ) | 15 |
| ნონდა (რენი) | 15 |
| ალექსი (სენტ ეტიენი) | 15 |



REUTERS მონტე კარლოდან

მონაკოელთა კაპიტანი ფაბიენ ბარტეზი (მარცხნივ) მწვრთნელსაც შეურიგდა და თანაგუნდელ მარტინ ჯეტუსთან ერთად ჩემპიონობას ზეიმობს

# შერიგებულან
## ვინ გაიგებს, რა მოხდა

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზი „მონაკოს" „ლე ავრის" წინააღმდეგ მატჩში კაპიტნის სამკლაურით გამოუძღვა, რაც იმის მომასწავებელია, რომ გოლკიპერსა და მთავარ მწვრთნელ კლოდ პუელს შორის კონფლიქტს ბოლო მოეღო.

შეგახსენებთ, რომ ორი დღით ადრე ბარტეზმა განაცხადა, მწვრთნელმა შეურაცხყოფა მომაყენა და გუნდში რაღა გამაჩერებსო, მაგრამ მეკარემ აზრი მალევე შეიცვალა და ახლა სულ სხვაგვარად ალაპარაკდა — ყველაფერი რიგზეა, რაც მოხდა, მხოლოდ ჩვენს შორის დარჩება, ეს პირადი საკითხია. „მონაკოდან" არსად წავალ, პრობლემა მოგვარდა. ხელს არაფერი მიშლის, რათა გუნდში დავრჩე და მიღწეული წარმატებებით ვისიამოვნო.

ურიგო არ იქნება, ბარტეზის ორი დღის წინანდელი განცხადება გავიხსენოთ, სადაც ფეხბურთელი თავის მწვრთნელს ცილისწამებას აბრალებდა — პუელის საქციელი ჩემთვის მიულებელია. მან მითხრა, ამიერიდან აღარ გენდობი, ერთი თვის წინ „მარსელთან" თამაშის დროს რაღაც ბოლომდე არ მოინდომე. არ გამოვრიცხავ, ქრთამი აიღეო. სიმართლე გითხრათ, „მონაკოდან" წასვლა მანამდე არც მიფიქრია, მაგრამ ამ ცილისწამებამ მაიძულა, კლუბი რაც შეიძლება, მალე გამოვიცვალო.

მეკარის მაშინდელ განცხადებაზე პუელმა თავისებური კომენტარი გააკეთა — ყველაფერი თავად მოიგონა, რამდენიმე დღის წინ ბარტეზს თავად ვესაუბრე, და არაფერი უთქვამს, პირიქით, კონტრაქტის გასრულებამდე კლუბში დარჩენა ისურვა, გვესიამოვნა. გაუგებარია, უმალ პრესას რომ მიმართა. გვსურს, მიზეზი ვიცოდეთო.

ახლა, როცა ბარტეზი სხვაგვარად ალაპარაკდა და კვლავ „მონაკოს" კაპიტნობს, პუელი აცხადებს: „ზედმეტად გაზვიადება არ მსურს, ამაზე ყველამ ბევრი ისაუბრა. მოდით, ყველაფერს სასიკეთოდ შევხედოთ, ყურადღება გუნდის საერთო მიღწევებზე გავამახვილოთ და მცირედი კონფლიქტებიდან აურზაურს ნუ შევქმნით".

ეს სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ მწვრთნელი და მეკარე შერიგდნენ.

# კალე — გუნდი გამოცანა



კალელები ფინალში გასვლას ზეიმობენ

ᲮᲕᲐᲚ საფრანგეთის თასის ფინალია. პარიზის გარეუბან სენ დენიში „სტად დე ფრანსზე" თერთმეტი პროფესიონალი ნანტელი ფეხბურთელი გავა. მეტოქედ კი გამყიდველების, მებაღეების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შეკოწიწებული სამოყვარულო გუნდი ეყოლებათ.

კალე, საფრანგეთის საპორტო ქალაქია, თუმცა მარსელის დონის არა. მათ გუნდიც უფრო მოკრძალებული ჰყავთ, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიების ადამიანები თამაშობენ. „სარბიელი" საფრანგეთის პირველი და მეორე დივიზიონების ცხრილებს აქვეყნებს. იქ კი, სანთლით რომ ეძებოთ, „კალეს" ვერ გადააწყდებით, მისთვის არც მესამე დივიზიონში მოიძებნა ადგილი. რა ხდება? ნუთუ ისე დაკნინდნენ საუკეთესო ფრანგული კლუბები, რომ მეოთხედივიზიონელს ვერც ერთმა გადაუღობა გზა?

კალელები პირველ სერიოზულ მეტოქეს თასის გათამაშების მესამე რაუნდში გადააწყდნენ. ცხადია, „კანი" საფეხბურთო ელიტას არ განეკუთვნება (ფრანგული მასშტაბებითაც კი), მაგრამ „კალეზე" მთელი ორი დივიზიონით წინაა და მის მარცხს არ ელოდნენ. „კალემ" ის მატჩი პენალტების სერიით 4:1 მოიგო. მეოთხე რაუნდში კი ზღვისპირა მოყვარულებს პირველდივიზიონელი „სტრასბური" ერგოთ მეტოქეთ. კიდევ ერთი საოცრება — „კალემ" 2:1 მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. აქ კი კერკეტ კალეურ კაკლებს ალარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მათთან სათამაშოდ საფრანგეთის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგაში გამოწრთობილი „ბორდო" ჩადიოდა. 90 წუთი ისე მიილია, ბორდოელებმა მასპინძელთა კარს გასაღები ვერ მოარგეს. და დამატებითი ტაიმები დაინიშნა. შემდგომი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა — 30 წუთში ოთხი გოლი გავიდა და მათგან სამი სწორედ „ბორდოს" კარში.

კალელი ფეხბურთელები ეიფორიაში არიან. სულ ცოტა ხნის წინ ისინი „სტად დე ფრანსზე" თასის ფინალში თამაშზე ვერც იოცნებებდნენ. „თავი სიზმარში მგონია — ამბობს 28 წლის მაღაზიის მოლარე მიშელ ჟერარი, რომელიც შეთავსებით „კალეს" თავდამსხმელია — ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძე და აღმოვაჩინე, რომ ვარსკვლავი ვარ. ჟურნალისტები მოსვენებას არ მაძლევენ, გაუთავებლად ინტერვიუებს მთხოვენ. ასე მგონია, ახალ ცხოვრებას ვიწყებ". და განა მხოლოდ ჟერარი, მთელი გუნდი იგივეს იმეორებს. კალეში მთელი საფრანგეთიდან დაუსრულებლად იგზავნება წერილები, რომლებშიც კლუბის ახალშეძენილი გულშემატკივრები ფეხბურთელებს წარმატებებს უსურვებენ.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, „კალე" თავდაპირველად ინგლისელმა რეპორტიორებმა აღმოაჩინეს, ფრანგებმა მისი წინსვლა რაღაც გაუგებრობად მიიჩნიეს. ჰოდა, გადაკვეთა ლა მანში ბრიტანელ ჟურნალისტთა არმიამ. ისინი ამბობენ, ჩვენ (ინგლისელებს) თასის გათამაშების 128-წლიანი ისტორია გვაქვს და ფინალში „კალეს" ნაირი გუნდის გასვლას ვერ ვიხსენებთო. „მთელი ინგლისი გვერდში გიდგათ" — ასეთი შინაარსის წერილებიც მრავლად ჩადის კალეში. ერთი მარსელელი მოქალაქე კი აი, რას წერს: „მარსელის „ველოდრომიდან" ორას ნაბიჯში ვცხოვრობ და ცხადია, „ოლიმპიკის" ერთგული ქომაგი ვარ. 52 წელია, მარსელიდან ფეხი არ გამიდგამს და ის პირველად თქვენი თამაშის სანახავად დავტოვე". აღსანიშნავია, რომ კალეს სტადიონი მნიშვნელოვანი მატჩების გასამართად უვარგისია — ამიტომ თასის გათამაშებაში გუნდი მეტოქეებს ლანსში მასპინძლობდა.

მათ მწვრთნელზეც ვთქვათ. ლასდისლას ლოსანო წარმოშობით ესპანელია და როდესაც ხუთი წლის იყო, მისი ოჯახი ფრანკისტული ესპანეთიდან საფრანგეთში გაიქცა. ლოსანო თავს ძველი ყაიდის მწვრთნელად მიიჩნევს და ემე ჟაკეს ედრება: „ორივეს ერთი და იგივე პრინციპები გვაქვს: პატიოსნება, გულწრფელობა და საქმისადმი ერთგულება. თილისმაც მაქვს — მატჩების დროს ჯიბეში მუდამ მიდევს ბურთის გასაბერი ნემსი. მას ჩემთვის წარმატება მოაქვს ხოლმე".

ხვალ თასის ფინალია. ფავორიტად „ნანტი" ითვლება, მაგრამ ბურთის გასაბერმა ნემსმა ეგებ თავისი საქმე კვლავაც გააკეთოს?

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ**

### თასის ფინალი. ნანტი — კალე

**„ნანტი" საფრანაგეთის თასის ფინალში**

გაიმარჯვა: 2, ფინალისტი: 5
1966 სტრასბური 0:1
1970 სენტ ეტიენი 0:5
1973 ლიონი 1:2
1979 ოსერი 4:1დ.დ. (1:1)
1983 პარი სენ ჟერმენი 2:3
1993 პარი სენ ჟერმენი 0:3
1999 სედანი 1:0

**წლევანდელი გზა ფინალამდე**

ოცდამეთორმეტედფინალი:
კარკასონი 4:1
მეთექვსმეტედფინალი:
მონტსო ლე მინი 6:0
მერვედფინალი:
გენიონი 0:0 (პენ. 4:1)
მეოთხედფინალი: რენი 2:1დ.დ. (1:1)
ნახევარფინალი: მონაკო 1:0

**„კალე" საფრანგეთის თასის ფინალში**

გაიმარჯვა: 0, ფინალისტი: 0

**წლევანდელი გზა ფინალამდე**

I ეტაპი კამპან ლე ჰესდინი 10:0
II ეტაპი სენ ნიკოლა 3:1
III ეტაპი მარლი 2:1
IV ეტაპი ბეტონი 1:0
V ეტაპი დიუნკერკი 4:0
ოცდამეთორმეტედფინალი:
ლილი 1:1 (პენ. 7:6)
მეთექვსმეტედფინალი:
ლანგონ კასტე 3:0
მერვედფინალი: კანი 1:1 (პენ. 4:1)
მეოთხედფინალი: სტრასბური 2:1
ნახევარფინალი: ბორდო 3:1დ.დ. (0:0)

გიო ახვლედიანის



სვეტი

## მწვრთნელ-დეტექტივი

დედამიწის ზურგზე ბევრი პროფესია ჰგავს ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს, რომელ სხვა პროფესიას ჰგავს ფეხბურთის მწვრთნელობა.

ამბობენ, რომ ფეხბურთის კარგი მწვრთნელი თავის ხელობაში მრავალი პროფესიის ნიშნებს აერთიანებს. ვთქვათ, პოლიტიკოსისას, მეცნიერისას, ფაბლიქ რილეიშენის მოღვაწისას, სუპერმარკეტის დირექტორისას, ფსიქოლოგისას, ჯარის ოფიცრისას, მასწავლებლისას და თავად ფეხბურთელისას.

ფეხბურთის მწვრთნელობა გახლავთ ის უცნაური პროფესია, რომელსაც უმეტესად ფეხბურთელები ეტანებიან, ზოგჯერ კი ის ადამიანები, რომელთა სათამაშო კვალიფიკაცია ეზოს არ გასცდენია. არცთუ იშვიათად, მწვრთნელობის გზაზე შემდგარი კაცი თავიდან სულ სხვა ხელობას მისდევს — არიგო საკი ფეხსაცმელებს ყიდდა, ჟერარ ულიე ფრანგულს ასწავლიდა (სხვათა შორის, ლივერპულში), ტერი ვენეიბლზს სამკერვალო ჰქონდა, ალექს ფერგიუსონი პაბს უძღვებოდა და ასე დაუსრულებლად.

ჩვენი მოსაზრებით, ფეხბურთის მწვრთნელი ყველაზე მეტად კარგი დეტექტიური რომანების მწერალს ჰგავს. ერთი ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხელობანი (მათემატიკასთან ერთად), აგრე რომ სჭირდება ფეხბურთის მწვრთნელს, დეტექტივების მწერალსაც სჭირდება. მეორეც ის, რომ, როგორც მწვრთნელი გადაშლის ხოლმე თავის დავთარს და შიგ ჩახატავს თამაშის ტაქტიკას, ასევე დეტექტივების მწერალიც ჩაიწერს თავისი წიგნის გეგმას. ფეხბურთის მწვრთნელი თავის მოთამაშეებს განაგებს, მათ თვისებებზე დაყრდნობით შეადგენს გეგმას თამაშის კვანძის თავის სასარგებლოდ გახსნისას. ასევე ექცევა თავის პერსონაჟებს დეტექტივების მწერალი, რომელიც მათ მოქმედებას დაუქვემდებარებს საბოლოო გამარჯვებას. ფეხბურთის მწვრთნელს უპყრია ხელთ თამაშის სურათი, ისევე, როგორც დეტექტივის ავტორს.

მაგრამ აქვე უნდა ჩამოვთვალოთ განსხვავებანიც. ფეხბურთის მწვრთნელი ნაღდ სამყაროში ქმნის თავის დეტექტივს, ავტორი კი მოგონილ თამაშშია ჩაბმული. მწვრთნელს ნაღდი ხასიათები აქვს ხელში, დამწერი კი თავად იგონებს მათ. დამწერისთვის ძირითადად ცნობილია, რომ გაიმარჯვებს, მწვრთნელი კი „ლაივში" წარმართავს თავის ამბავს. მაგრამ მთავარი საერთო რამ მაინც ურევია — ფეხბურთი დეტექტივია, პერსონაჟთა სიუხვით, განცდებით და რაც მთავარია დეტექტივისთვის — საიდუმლოთი, ამოცანებით სავსე სიუჟეტით.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თუკი წერის ტექნიკას შეისწავლის, საფეხბურთო მწვრთნელი მშვენიერ დეტექტივებს დაწერს. ამ შეხედულებას ზურგს უმაგრებს უკვე ნახსენები ტერი ვენეიბლზი, რომელიც „ბარსას" მწვრთნელობისას სწორედ რომ დეტექტივების წერით ერთობოდა და ფსევდონიმიც მომარაგებული ჰქონდა.

# იორკი ჰანსენს წაახდენდა

## რომელია ინგლისის საუკუნის გუნდი?

სერ ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ მისი „მანჩესტერ იუნაიტედი" საუკეთესოა კლუბის ისტორიაში, რადგან არცერთი ეპოქის „მენიუს" არ მოუგია იმდენი ტიტული, რამდენიც მისას.

ინგლისში კი ბევრია ისეთი, ვინც თვლის, რომ არათუ ერთი კლუბის, არამედ საერთოდ, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში, ამ „მანჩესტერზე" უკეთესი კლუბი არ მოიძებნება.



ჰოლანდიელი იაპ სტამი და ტრინიდადელი დუაიტ იორკი 1999 წლის ჩემპიონთა თასით ხარობენ

ამ აზრს არ ეთანხმება განთქმული სქოთი მცველი ალან ჰანსენი, აწ ტელეწამყვანი, 70-იან და 80-იან წლებში კი დიადი „ლივერპულის" მოთამაშე. ჰანსენი სტატისტიკურ ცნობარს გადაშლის და იტყვის, რომ მისი დროის „ლივერპული" 11 წელიწადში რვაჯერ გახდა ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ასოციაციის თასი, ოთხჯერ კი ლიგისა. იმავე ეპოქაში „ლივერპულმა" ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

„მანჩესტერმა" რვა სეზონში ექვსჯერ იმარჯვა ჩემპიონატში, სამჯერ ასოციაციის თასზე და ერთხელაც ჩემპიონთა თასზე.

რვასეზონიან პრემიერლიგურ მონაკვეთს არ მიეთვლება თასების თასი (1991) და რამდენიმე სხვა რეკორდი. თუნდაც ის, რომ „მანჩესტერი" პირველი გუნდი გამოდგა ინგლისის ისტორიაში, ორ წელიწადში ორი დუბლი რომ ალასრულა.

ჰანსენი უფრო დიდ რეკორდებზე საუბრობს.

ამ საკითხთა ერთგვარად მაინც გასარკვევად გაზეთ „სანდი ფიფლის" სპორტის შეფმა ენდი დანმა სასაუბროდ გამოიწვია პოპულარული გადაცემის „მეტჩ ოვ ზი დეის" (დღის მატჩი) წამყვანი ჯიმი ჰილი და საუბარი გაუბა.

დანი: რა მოხდებოდა, ის „ლივერპული" და ეს „მანჩესტერი" რომ შეხვედროდნენ?

ჰილი: „მანჩესტერი" თავისი მოძრაობით და ამტანობით ყელზე დაადგებოდა „ლივერპულს". ალან ჰანსენი ჩემი ძველი მეგობარია, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ ფეხბურთი განვითარდა. ალანს და მის მეწყვილეს დაცვის ცენტრში, მარკ ლოურენსონს ძალიან გაუჭირდებოდათ იორკის და კოულის წინააღმდეგ ბრძოლა. ვერ გაწვდებოდნენ. ახლა ფეხბურთელები უკეთესი ათლეტები არიან.

დანი: და მანჩესტერელთა დაცვა გაწვდებოდა იან რაშს და კენი დალგლიშს?

ჰილი: მე მინდა ვთქვა, რომ როი კინი დაჯაბნიდა გრემ სუნესს. ეგებ ეს გადამწყვეტიც ყოფილიყო. სუნესი თავისი დროის დიდებული ნახევარმცველი იყო, მაგრამ კინს მასზე უფრო ძლიერ ფეხბურთელთა წინააღმდეგ უწევს თამაში და მთელს მოედანს იპყრობს.

დანი: მე „ლივერპულის" თავდასხმაზე გეკითხებოდით.

ჰილი: ვიცი, რასაც უმიზნებთ. წელს ფერგიუსონის გუნდმა უამრავი გოლი გაუშვა. იან რაშმა კი მთავარი რაც იცოდა, ის იყო, რომ საჭირო ადგილას აღმოჩნდებოდა. ამ მხრივ პრობლემები იქნებოდა, მაგრამ წლეულს „მანჩესტერს" რონი იონსენი აკლდა, რონის გამოჩენა რაშს შებორკავდა.

დანი: ასე იოლად იქნებოდა საქმე?

ჰილი: არა, დევიდ ბექემი თავის ფლანგს ჩაიგდებდა. საერთოდ მიკვირს, რატომ გახდა ეს ბიჭი ევროპის მეორე ფეხბურთელი. ის ჯერ არ არის უმაღლესი კატეგორიის მოთამაშე, ვთქვათ დალგლიშისდარი. დრო უნდა, აუცილებლად გახდება ასეთი. ჯერჯერობით კი მისი მთავარი ღირსება ჩაწოდებაა, ალან ჰანსენს კი არცთუ ძალიან გაუჭირდებოდა ამგვარი კროსების მოგერიება".

დანი: ვფიქრობ, რომ უტოპიას ვუახლოვდებით. ცხადია, ფილ ნილი ისე ვერ ეხმარებოდა შეტევას, როგორც ამას ირვინი აკეთებს. მაშინ სხვა დრო იყო.

ჰილი: რა თქმა უნდა. ჩვენ ვერ შევადარებთ დროის თვისებათა ხარისხს. დალგლიში დღესაც, დღევანდელი მომზადებით, ბრწყინვალე იქნებოდა. ჩვენს ლაპარაკში იუმორი ურევია, მაგრამ ზოგადი ხედვით ეს „მანჩესტერი" უფრო ძალმოსილი ჩანს.

დანი: მაშინ სხვა დრო იყო. განა შევადარებთ იმ დროის ტრავმატოლოგიას, მკურნალობას, მზადყოფნის სისტემას დღევანდელს?

ჰილი: ეს სიცილის გუნებაზე დამაყენებს. პეისლი ორმხრივ თამაშს ხუთი-ხუთზე ატარებდა. დღეს ეს არაპროფესიულია.

დანი: მაგრამ იმ ეპოქას ჰქონდა სიდიადე.

ჰილი: უდაოდ. დღეს მანჩესტერს აქვს დიადი ეპოქა. „ლივერპულსაც" ასეთი ჰქონდა, თუ უფრო დიადი არა. მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ის „ლივერპული" ვერ გაუძლებდა. ეს ფაქტია, რომელსაც მეცნიერება დაადასტურებს. საუკეთესო ფოლადის ხმალი უსუსურია ტყვიასთან.

დანი: ალან ჰანსენიც ამას ამბობს.

ჰილი: ოღონდ მხოლოდ პირველ წინადადებას.

გადმოაქართულა
ირაკლი გამყრელიძემ



თასები არც „ლივერპულს" აკლდა: შოტლანდიელები — ჰანსენი, დალგლიში და სუნესი — ერთ-ერთი ნადავლით

**ლივერპული. 1980-იანები**
*ბრიუს გრობელაარი, ფილ ნილი, ალან ჰანსენი, მარკ ლოურენსონი, ალან კენედი, სტივ ნიკოლი, გრემ სუნესი, სემი ლი, რონი ვილანი, კენი დალგლიში, იან რაში*

**მანჩესტერი. 2000**
*მარკ ბოსნიჩი, გარი ნევილი, იაპ სტამი, დენის ირვინი, დევიდ ბექემი, როი კინი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი, დუაიტ იორკი, ენდი კოული*



# ასეთია ფოშ სპაისის ბედი



ინგლისურ პოლიციას ჯერ ვარაუდები არ გამოუთქვამს, ჩვენი აზრით კი ეს ოდნავ ჭკუიდან გადამდგარი, თუმც მაინც გულშემატკივრის ნამოქმედარია. იკითხა, იკითხა გაზეთები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დევიდ ბექემი სწორედ მეუღლის გამო ვერ ამჟღავნებს მთელ თავის საფეხბურთო პოტენციალს. მერე გაზეთიდან ინგლისის ყველაზე ცნობილი ცოლ-ქმრის სურათი ამოჭრა, ზედ რაღაცეები დაახატა, ჩადო კონვერტში და მისის ბექემს პირდაპირ სახლში გაუგზავნა.

ქალბატონი ვიქტორია უმალ პოლიციას დაუკავშირდა. აბა, რას იზამდა — ფოტო საწერი კალმით ისე იყო გადაკეთებული, მოალერსე წყვილის ნაცვლად ასეთი სურათი იხატებოდა: ბექემი თავის ცოლს შუბლში ტყვიას ახლის, ვიქტორიას მიმზიდველი თავიდან კი სისხლი ჩქეფს. მინაწერი ასეთი იყო: „აი, რა მოგელის".

პოლიციამ ჯერჯერობით მხოლოდ ის დაადგინა, რომ წერილი მანჩესტერთან ახლოს მდებარე ქალაქ სტოკპორტიდანაა გაგზავნილი. ამჟამად ბექემების სახლისა და ოჯახის წევრების დაცვა გაძლიერებულია. განსაკუთრებით პატარა ბრუკლინს სდარაჯობენ.

დევიდი და ვიქტორია შინ ოთხშაბათს დაბრუნდნენ ფლორენციიდან, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა ვიწრო წრეში დაბადების 25-ე წლისთავი აღნიშნა. მანიაკის მილოცვამაც არ დააყოვნა...

## საჭირბოროტო
## კითხვა • პასუხი

— *შემოატრიალებენ!..*

— როგორ შეიძლება ფეხბურთის გუნდი ჩინურ ვაზას ჰგავდეს?

— *ეგ უკვე მითხარი.*

— შემოდგომაზე გითხარი და გაზაფხულზე ახლა. ვაზა ლამაზია, მაგრამ თუ კენჭი მოხვდა, დაიმსხვრევა.

— *შემოატრიალებენ!..*

— მა ანგულო? ანგულოს გააჩერებ?

— ***ანგულო არ არის პრობლემა. იქ ანგულოზე მაგრებიც არიან.***

— სად, „ვალენსიაში"?

— ***„ვალენსიაში" კი არა, „ბარსაში".***

— ოო, „ბარსაში" მაგარი ფეხბურთელები არიან. დნობა ეხერხებათ.

— ***რა დნობა?***

— იგრე ჩამოდნენ, როგორც პლასტელინი სიცხეში. დათბა და ჩამოდნენ. შემოდგომით არა უშავდათ.

— ***ფიგუ ითამაშებს!***

— ლადისლაო კუბალამაც რომ ითამაშოს, „ვალენსია" ფინალშია.

— ***შემოატრიალებენ!..***

— კი, თუ ექტორ კუპერი სადაზღვევო კომპანიაში გადავა სამუშაოდ.

— ***რა გახდა ეგ ექტორ კუპერი? ფეოლაა?***

— ფეოლა ვინღაა?

— ***და ეს კაცი ფეხბურთზე მელაპარაკება.***

— ლადისლაო კუბალა გითხარი და ფეოლა არ მეპატიება?

— ***ლადისლაო კუბალა საერთოდ არ გამიგია.***

— „ბარსას" ბალეშჩიკობ და კუბალა არ გაგიგია? სიმაო ხომ გაგიგია?

— ***სიმაო კიდევ გამოჩნდება.***

— კი, „ფარენსეში".

— ***სიმაოც გამოჩნდება და...***

— იმ ბიჭს რა ერქვა?

— ***ანელკა.***

— არა. ქალის სახელი ერქვა, „ბარსაში" დარბოდა. სიმაოზე მაგარ სიმაოდ ითვლებოდა.

— ***ხორდი კრუიფი.***

— რას ერჩი მაგ პატიოსან ბიჭს? აბა, შენ იყავი კრუიფის შვილი და რას ითამაშებენ, ვნახავ.

— ***და გაზა?***

— გაზა რა შუაშია?

— ***გაზა ვისი შვილი იყო, რომ ვერ ითამაშა?***

— ვინ ვერ ითამაშა, ბიჭო?

— ***გაზამ.***

— და ვინ ითამაშა?

— ***გაზამ ვერ ითამაშა.***

— გვარდიოლა თამაშობს და გაზამ ვერ ითამაშა, არა?

— ***შემოატრიალებენ!..***

— ვან გაალი რომ კუპერი იყოს, კი.

# ტრიუმფი ბათუმში, შარი ევროპაში

ბათუმში მიმდინარე აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის (1984 წელს და ზევით დაბადებულები) ნინო ესებუას სრული ტრიუმფით დასრულდა — ქართველმა ჩოგბურთელმა ტურნირის ორივე ეტაპზე იმარჯვა.

ქალბატონ ლეილა მესხისა და ადგილობრივ ხელისუფალთა დიდი ძალისხმევით უმაღლეს დონეზე ორგანიზებული შეჯიბრის შესახებ უკანასკნელად ცნობები რამდენიმე დღის წინ მოგაწოდეთ. მაშინ ნინომ მხოლოდ პირველ ნახევარფინალში დაიბევა საგზური, თუმცა 16 წლის თბილისელს მიღწეულზე შეჩერება არც უფიქრია.

ნახევარფინალში ესებუამ ძალიან იოლად დაამარცხა იუგოსლაველი სანია ტოდორივიჩი 6:1, 6:4 და არც ფინალში, უკრაინელ ალიონა ბანდარენკოსთან გასჯირვებია მაინცდამაინც 6:3, 6:4.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებური ერთი თავით სჯობდა ზღვისპირეთში ჩამოსულ მეტოქეებს, რომელთაც მისთვის სერიოზული წინააღმდეგობაც კი არ გაუწევიათ. თუმცა ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ერთხელ ნინოს კინაღამ ავნო.

ტურნირის პირველი ნახევრის დასრულებისთანავე დაწყებული მეორე ეტაპის მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე ტანმაღალი უკრაინელი იულია უსტიუჟანინა იყო. ყველასათვის მოულოდნელად, მანამდე არაფრით გამორჩეულმა უკრაინელმა ესებუას არაფერი დაუთმო და პირველი სეტი მშრალზე, თხუთმეტიოდ წუთში მოუგო.

საბედნიეროდ, ჩვენებური გონს დროულად მოვიდა, ჩვეულად ათამაშდა და საკმაოდ დაძაბულ, ნერვიულ შეხვედრაში 0:6, 6:3, 6:4 იმარჯვა.

მსგავსი რამ მეტად აღარ განმეორებულა, ნახევარფინალში ქართველმა იუგოსლაველი ანა იოვანოვიჩი დაამარცხა 6:4, 6:3, ფინალში კი ერთხელაც გაამწარა ბონდარენკო 6:2, 7:6 (7:3).

ზემოხსენებული დამსახურებისთვის ესებუას ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) მეტად საჭირო გრანტი — 2000 დოლარი ერგო, რომლის საშუალებითაც წლეულს ევროპაში 18-წლამდელთა რამდენიმე ტურნირზე თამაშსა და გამოცდილების შეძენას მოახერხებს.

არადა, ნინოს მწვრთნელის, დავით ისლამოვის თქმით, კურიოზული გაუგებრობების გამო მათ ევროპიდან დიდი გაჭირვებით ჩამოუსწრეს ბათუმის ტურნირის დასაწყისს.

შარშანდელ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული გრანტისა და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მატერიალური დახმარებით აპრილში ესებუამ საფრანგეთსა და მონაკოში იუნიორთა სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და საკმაო წარმატებითაც.

ისტრში ქართველმა ჩვენს კიდევ ერთ ნიჭიერ ჩოგბურთელ მაკა ჩახნაშვილთან ერთად წყვილებში გაიმარჯვა, ბოლიესიურ-მერში კი ნახევარფინალში იყო გასული, სადაც განზრახ წააგო, რათა ფრანკფურტში თვითმფრინავისთვის მიესწრო და საქართველოში დროულად დაბრუნებულიყო.

მაგრამ გზად გერმანიისკენ ნინოს ჯერ მატარებლის რეისი აერია, მერე გაბოროტებულმა გამცილებელმა უბილეთობის გამო ბადენ ბადენში ვაგონიდან ჩამოსვა და მხოლოდ ერთი ქართველი დიპლომატის შესანიშნავი სარბოლო მონაცემების ხარჯზე მოხვდა ფრანკფურტის აეროპორტში დროზე.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, წარმატებები და იმ უმძიმესი სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება ვუსურვოთ ნინოს, რომელთა მიუხედავადაც ნიჭიერი ჩოგბურთელი მაინც ახერხებს თავის გამოჩენას.

# ვინუსს მინუს ათი



ვინუს უილიამსი

ჰამბურგი. გერმანია. „ბეტი ბარკლის თასი". თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

თითქმის ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ შავკანიანი ვენერა ვინუს უილიამსი ჰამბურგში კორტებს ჩვეული ამბიციებით დაუბრუნდა: „მე ამ ტურნირის მოგება მინდა. ვფიქრობ, შემიძლია კიდეც ამის გაკეთება, ეს კარგი საჩუქარი იქნება საკუთარი თავისთვის."

უკანასკნელად უფროსი უილიამსი შარშან, 22 ნოემბერს ვიხილეთ საჩოგბურთო ასპარეზზე. მაშინ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მან მარტინა ჰინგისთან წააგო და კარგა ხნით გაქრა თვალთახედვიდან.

ვინუსმა ჯერ ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვა მაჯებში მყესების ანთების გამო, მერე კი სულ უფრო და უფრო გადადო ასპარეზობის განახლების ვადები, რაკილა ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული გამოდგა: „თუ საკუთარ თავს არ მივხედავდი და ცოტას არ დავისვენებდი, შეიძლებოდა, მთელი წელი გამცდენოდა."

ამ ხნის მანძილზე უილიამსი ძირითადად ფლორიდის ხელოვნების კოლეჯში დიზაინის კურსების წარმატებით დასრულებით იყო დაკავებული და თავისუფალ დროს უმცროსი დაიკოს, სერენას საქმეების მოგვარებასაც უთმობდა.

შერეკილმა მამამ, რიჩარდმა, ამასობაში მსოფლიოს ისიც კი მოსდო, ვინუსი სპორტიდან წასვლაზე ფიქრობსო: „არა, გულშიც არ გამივლია. რომ მინდოდეს, პენსიაზე ისე გავიდოდი, გული არაფერზე დამწყდებოდა. ჩოგბურთში რაღაცას მივაღწიე და თამაშის სურვილი რომ გამქრომოდა, ცხოვრების ახალ ეტაპზე იოლად გადავიდოდი."

გასულმა თვეებმა ახალი ვარცხნილობის გარდა უფროს უილიამსს სხვამხრივაც დაატყო დაღი: ყოველდღიურად ტრენაჟორებზე ვარჯიშს გადარჩენილს კუნთების შთამბეჭდავი მასა გაუქრა და თითქმის 10 კილო დაიკლო წონაში.

ვინუსმა რაღაც დადებითი ამაშიც დაინახა: „ბუნებრივია, მინდა, უფრო ძლიერი ვიყო და მეტი კუნთები მქონდეს, მაგრამ ასე სირბილი უფრო იოლია. და, სიმართლე გითხრათ, ძალა არც ახლა მაკლია, რადგან კარგად ვარ დასვენებული."

მეორე წრეში (პირველიდან გათავისუფლებული იყო) ამერიკელის მეტოქე, მისი ძველი ნაცნობი, რუმინელი ირინა სპირლეა იყო. თავიდან სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ თავისი გაიტანა, უილიამსმა უამრავი ორმაგი და უნებლიე შეცდომა დაუშვა და პირველი ხელიც წააგო.

თუმცა ათლეტური შავკანიანი მალე დაწყნარდა, უკეთ ათამაშდა და საბოლოოდ 6:7 (3:7), 6:2, 6:2 მოიგო.

მერვედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:4, 6:1; **კონჩიტა მარტინესი** (3, ესპანეთი) — ლუბომირა ბახევა (ბულგარეთი) 6:4, 5:7, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ანა კურნიკოვა** (6, რუსეთი) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:3, 6:0; **ანკე ჰუბერი** (7, გერმანია) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:1, 6:3; **ამანდა კუტცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — ანა გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:2, 6:4.

მალიორკის ღია პირველობა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

მერვედფინალი: **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 5:7, 6:0, 6:3; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — მარსელო რიოსი (2, ჩილე) 2:6, 7:6 (7:3), 6:4; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 3:6, 7:5, 7:5; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:3, 6:3; **მარიანო პუერტა** (6, არგენტინა) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:1, 6:2; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:2).

ავთანდილ სვანიძე



# შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე...

— გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, თქვენო სამეფო აღმატებულებავ, ჩინებულად გახლავართ. თქვენ დღეს საუცხოოდ ითამაშეთ.

— რას ბრძანებთ. ცოტა წელი მტკიოდა და ჩვეულ ფორმაში არ ვარ. გმადლობთ კომპლიმენტისთვის.

ასე ან დაახლოებით ასე მიმართავენ ერთმანეთს უელსის პრინცი ჩარლზი და მისი გულშემატკივრები პოლოს მატჩის შემდეგ. 51 წლის ქვრივი ჩარლზი სპორტის ამ სახეობის (ჩვენებურ ცხენბურთს წააგავს) ტრფიალია და თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, ურიგოდ არც თავად თამაშობს. ჰოდა, ვინაიდან ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის საქმეში ნახვისა და, მით უმეტეს, მატჩის შემდგომ გასაუბრების მოყვარული ბევრია, პრინცმა საქველმოქმედო თამაშის ჩატარება განიზრახა. თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარი მილიონი გირვანქა უკვე ამან, ანუ განზრახვამ, მოიტანა. სულ კი რამდენი დაგროვდება, ღმერთმა უწყის. მით უფრო, რომ მამასთან ერთად გუნდში მისი ორი შვილი, უფლისწულები უილიამი და ჰარი ითამაშებენ. „თუ მართლა ასე მოხდა, შემოსავალი, სულ მცირე, გაორმაგდება" — ამბობს მატჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი. თავად პრინცი კი აღტაცებულია ამ იდეით: „ოდესღაც მამაჩემთან ერთად ვთამაშობდი. ახლა შვილებთან ერთად ჭენება მომიწევს. ეს მართლაც სასიამოვნო უნდა იყოს. ამის მერე, შესაძლოა, აღარ ვითამაშო".



THE SUN

პოლოს ყველაზე ცნობილი მოთამაშე

17 წლის უილიამს და 15 წლის ჰარის სწავლიდან თავისუფალ დღეებში გლოსტერშირში ავარჯიშებენ, რათა პოლოში ჭიპმოჭრილი მამა არ შეარცხვინონ. საქველმოქმედო მატჩი კი ივნისში გაიმართება, როცა ბიჭები იტონის კოლეჯში გამოცდებს მოითავებენ.

და კიდევ. რა ერქმევა იმ გუნდს, სადაც სამეფო კარის სამი წარმომადგენელი ითამაშებს? უფროს უფლისწულს „ასტონ ვილა" ერჩივნა (ამ კლუბის ფანია), მეთოფეთა გულშემატკივარ ჰარის კი, ცხადია, „არსენალი". „პრობლემა არ იქნება: გუნდს „უელს იუნაიტედს" დავარქმევთ" — ჩარლზმა ასე გადაწყვიტა.

გიგა კობახიძე



THE SUN

უილიამი (მარჯვნივ) ჰარის: არა, ძმაო, შენს „არსენალს" ჩემი „ასტონ ვილა" სჯობია



## ლჰოცზე 2000

# მრგვალი მაგიდა 5600 მეტრზე

## ქართველები გამარჯვებას 9 მაისს აპირებენ

*ლჰოცზეზე და ევერესტზე მოიერიშე მთამსვლელებს ცუდი ამინდები რომ დაუდგათ, ამის თაობაზე ათი დღის წინათ გაუწყეთ. სამწუხაროდ, უამინდობა კვლავ გაგრძელდა. ლჰოცზეზე ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრებმა, რომლებსაც რუსთაველი ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობს, მეოთხე ბანაკის დადგმა 29 აპრილს 7900 მეტრის სიმაღლეზე სცადეს, მაგრამ, სამწუხაროდ, საშინელი ქარბუქის გამო ვერ მოახერხეს და საბაზოში დაბრუნდნენ.*

ბულგარელი ბორისლავ დიმიტროვის საერთაშორისო ექსპედიციას (თითო პოლონელი, ბულგარელი და პორტუგალიელი მთამსვლელი) მიკედლებულ, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად მოქმედი რუსი დმიტრი მოსკალევისა და იური სოიფერისაგან (მათ ექსპედიციას „მაისი-2000" ჰქვია) შევიტყვეთ, რომ იმ უამინდობაში, 2 მაისს ბენო ქაშაკაშვილს ლჰოცზეზე მოიერიშე ყველა ექსპედიციის წევრთათვის მიუმართავს, მიზნის მისაღწევად ძალისხმევა გავაერთიანოთო.

მართლაც, იმავე დღეს საათნახევრით „მოლაპარაკებათა მაგიდასთან" დამსხდარან ლჰოცზეზე მოიერიშე ქართულ-რუსული, საერთაშორისო, დიდბრიტანელების (სამი თუ მეტი წევრი), სლოვენიელებისა და „მაისი 2000"-ის წევრები. მათ მწვერვალისკენ მიმავალი გზის საერთო ძალისხმევით დამუშავებაზე უმსჯელიათ და გადაუწყვეტიათ მეოთხე ბანაკიდან მწვერვალამდე თოკები გავაერთიანოთო.

როგორც „მაისი 2000"-ის წევრებისგან შევიტყვეთ, ლჰოცზეზე მოიერიშე ყველა ექსპედიციას 4 მაისისთვის დაუგეგმავს საბაზო ბანაკიდან აყრა და ზემოთ ასვლა. მათივე თქმით, მწვერვალს პირველნი ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრები შეუტევენ და 9 მაისს ეცდებიან ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე ასვლას, სხვები კი გადამწყვეტ იერიშზე მოგვიანებით გადავლენ.

ავთანდილ გურასაშვილი

# თსუ დაბლა მაღლაა

*მოწინავე ექვსეულს მიღმა დარჩენილმა გუნდებმა გუშინ ვერის ბაღში მორიგი შეხვედრები გამართეს.*

**სსუ 76:67 ასკ**

**დინამო 83:77 გორი**

**შევარდენი 86:78 თსუ**

წაგების მიუხედავად, თსუ-ს მეშვიდე ადგილს ვერარავინ შეეცილება. დარჩენილი თამაშები რომც წააგოს, მისმა უშუალო მეტოქემ, „დინამომ“ კი ორივე მოიგოს, მაინც არაფერი შეიცვლება — უნივერსიტეტელები ურთიერთშეხვედრებშიც სჯობნიან მოწინააღმდეგეს. ცხრილის ქვედა ნაწილშიც ყველაფერი გარკვეულია, საკითხავი ისღაა, მერვე ადგილს რომელი დაისაკუთრებს, „დინამო“ თუ „შევარდენი“. ამას, ალბათ, ამ გუნდების დღევანდელი მატჩის შემდეგ გაეცემა პასუხი.

**საქართველოს ჩემპიონატი — 8 ტური — VII-XII ადგილები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 29 | 16 | 13 | 2519:2450 | 45 |
| დინამო | 30 | 14 | 16 | 2306:2395 | 43 |
| შევარდენი | 30 | 13 | 17 | 2138:2301 | 42 |
| სსუ | 30 | 6 | 24 | 2145:2727 | 36 |
| ასკ | 30 | 3 | 27 | 2131:2725 | 33 |
| გორი | 29 | 4 | 25 | 1774:2145 | 29 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

# თბილისელები აზიელების წინააღმდეგ

ახალშექმნილი სამხრეთის ლიგის გათამაშება, ჩანს, მყარად იკიდებს ფეხს საქართველოში. ჯერ იყო და სომხეთის ორ გუნდს ვუმასპინძლეთ, გუშინ კი სულაც ირანელები გვეწვივნენ კალათბურთის სათამაშოდ. როგორც შევიტყვეთ, ერთ-ერთი ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ყოფილა, მეორე კი ეგრეთწოდებული კლუბთა ნაკრები.

მოგეხსენებათ, სამხრეთის ლიგაში საქართველოდან ორი გუნდი, რუსთავის „აზოტი“ და თბილისის „მაკაბი“ ასპარეზობს, „მაკაბი“ ახლაც მონდომებით ემზადება ირანელებთან სათამაშოდ, აი, „აზოტს“ კი ტურნირის ორგანიზატორთათვის უთხოვია, შინაური პლეი ოფისთვის საგანგებო გრაფიკით ვემზადები და ეგებ აზიელებთან თამაში სხვა დროისთვის გადაგვიტანოთო.

სამაგიეროდ, მოხალისე სხვა გამოჩნდა, სტუ-მ გამოთქვა ირანელებთან გაჯიბრების სურვილი. შეჯიბრების თავკაცებმაც, კი ბატონო, მაგრამ წესს მაინც არ ეღალატებაო და ტექნიკოსებს უკონკურსოდ თამაშის ნება დართეს.

დღეს ვერის ბაღში 18 საათზე სტუ ირანის ეროვნულ გუნდს შეხვდება, ამის მერე კი „მაკაბი“ კლუბთა ნაკრებს დაუპირისპირდება. ხვალ ჩვენებურები მეტოქეებს გაცვლიან.

## თურქეთი

# ულქერი შერცხვა, ფაჩულია — არა

გუშინ თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალი დაიწყო. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ბურსას „თოფაშმა“ პირველ მატჩში უმასპინძლა სტამბოლის „ულქერს“. ბურსელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მათი საბოლოო გამარჯვება თითქმის პირველივე წუთებიდანვე უეჭველი იყო. „თოფაშმა“ 73:60 მოიგო, ყველაზე დიდი სხვაობა კი 22 ქულა იყო — პირველი ტაიმი 46:24 დასრულდა.

„ულქერის“ რიგებში მეორე ტაიმის შუაწელში გამოჩნდა 16 წლის ქართველი ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია. მან ხუთი წუთი დაჰყო მოედანზე და ოთხი ქულა და სამი მოხსნა გააკეთა. ფაჩულიამ თამაშიდან ერთხელ ისროლა და ჩააგდო, აგრეთვე ზუსტად შეასრულა ორი საჯარიმო.

„თოფაში“ ნახევარფინალურ სერიაში 1:0 დაწინაურდა. მეორე მატჩი კვირას გაიმართება სტამბოლში. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალი სამ მოგებამდე გრძელდება.

## ფიბას რეიტინგი
### 1997-98, 98-99 და 99-2000 წლების სეზონების მიხედვით

| | |
|---|---|
| 1. იტალია | 230,667 |
| 2. საბერძნეთი | 182,500 |
| 3. ესპანეთი | 124,167 |
| 4. ლიტვა | 80,802 |
| 5. საფრანგეთი | 77,333 |
| 6. თურქეთი | 74,333 |
| 7. იუგოსლავია | 51,056 |
| 8. ისრაელი | 40,759 |
| 9. რუსეთი | 34,153 |
| 10. ხორვატია | 29,964 |
| 11. გერმანია | 25,833 |
| 12. პოლონეთი | 21,667 |
| 13. სლოვენია | 21,524 |
| 14. ბელგია | 17,056 |
| 15. პორტუგალია | 14,667 |
| 16. კვიპროსი | 5,733 |
| 17. ავსტრია | 5,611 |
| 18. ფინეთი | 5,600 |
| 19. ბოსნია | 5,556 |
| 20. უნგრეთი | 4,389 |
| 21. უკრაინა | 4,000 |
| 22. მაკედონია | 3,533 |
| 23. ბულგარეთი | 2,700 |
| 24. სლოვაკეთი | 2,433 |
| 25. შვედეთი | 2,333 |
| 26. ჩეხეთი | 2,200 |
| 27. ლატვია | 2,033 |
| 28. ჰოლანდია | 2,000 |
| 29. შვეიცარია | 1,667 |
| 30. ლუქსემბურგი | 0,917 |
| 31. ესტონეთი | 0,800 |
| 32. ინგლისი | 0,550 |
| 33. რუმინეთი | 0,442 |
| 34. ბელარუსი | 0,417 |
| 35. ისლანდია | 0,125 |
| 36. საქართველო | 0,117 |
| 37. ალბანეთი | 0,042 |
| 38-50. ანდორა | 0,000 |
| 38-50. სომხეთი | 0,000 |
| 38-50. აზერბაიჯანი | 0,000 |
| 38-50. დანია | 0,000 |
| 38-50. გიბრალტარი | 0,000 |
| 38-50. ირლანდია | 0,000 |
| 38-50. მალტა | 0,000 |
| 38-50. მოლდოვა | 0,000 |
| 38-50. მონაკო | 0,000 |
| 38-50. ნორვეგია | 0,000 |
| 38-50. სან მარინო | 0,000 |
| 38-50. შოტლანდია | 0,000 |
| 38-50. უელსი | 0,000 |

## ქვეყნების წარმომადგენლობა 2000-01 წლების სეზონის ევროთასებზე

| ქვეყანა | სუპროლიგა | საპორტას თასი | კორაჩის თასი | სულ |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 2 | 7 |
| საბერძნეთი* | 3 | 2 | 2 | 7 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 3 | 7 |
| ლიტვა | 3 | 1 | 3 | 7 |
| საფრანგეთი | 1 | 2 | 4 | 7 |
| თურქეთი | 1 | 2 | 4 | 7 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 4 | 6 |
| ისრაელი** | 2 | 1 | 4 | 7 |
| რუსეთი | 1 | 1 | 4 | 6 |
| ხორვატია | 2 | 1 | 4 | 7 |
| გერმანია | 1 | 1 | 4 | 6 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 4 | 6 |
| სლოვენია | 1 | 1 | 4 | 6 |
| ბელგია | - | 1 | 4 | 5 |
| პორტუგალია | - | 1 | 4 | 5 |
| კვიპროსი | - | 1 | 4 | 5 |
| ავსტრია | - | 1 | 4 | 5 |
| ფინეთი | - | 1 | 4 | 5 |
| ბოსნია | - | 1 | 4 | 5 |
| უნგრეთი | - | - | 4 | 4 |
| უკრაინა | - | - | 4 | 4 |
| მაკედონია | - | - | 4 | 4 |
| ბულგარეთი | - | - | 4 | 4 |
| სლოვაკეთი | - | - | 4 | 4 |
| შვედეთი | - | - | 4 | 4 |
| ჩეხეთი | - | - | 4 | 4 |
| ლატვია | - | - | 4 | 4 |
| ჰოლანდია | - | - | 4 | 4 |
| შვეიცარია | - | - | 4 | 4 |
| ლუქსემბურგი | - | - | 4 | 4 |
| ესტონეთი | - | - | 4 | 4 |
| ინგლისი | - | - | 4 | 4 |
| რუმინეთი | - | - | 4 | 4 |
| ბელარუსი | - | - | 4 | 4 |
| ისლანდია | - | - | 4 | 4 |
| საქართველო | - | - | 4 | 4 |
| ალბანეთი | - | - | 4 | 4 |
| ანდორა | - | - | 4 | 4 |
| სომხეთი | - | - | 4 | 4 |
| აზერბაიჯანი | - | - | 4 | 4 |
| დანია | - | - | 4 | 4 |
| გიბრალტარი | - | - | 4 | 4 |
| ირლანდია | - | - | 4 | 4 |
| მალტა | - | - | 4 | 4 |
| მოლდოვა | - | - | 4 | 4 |
| მონაკო | - | - | 4 | 4 |
| ნორვეგია | - | - | 4 | 4 |
| სან მარინო | - | - | 4 | 4 |
| შოტლანდია | - | - | 4 | 4 |
| უელსი | - | - | 4 | 4 |
| *სულ* | *22****** | *24* | *194* | *240* |

* საბერძნეთს ერთი ადგილი სუპროლიგაში „პანათინაიკოსმა“ მოუტანა

** ისრაელს ერთი ადგილი სუპროლიგაში „მაკაბიმ“ მოუტანა

*** სუპროლიგის ორ მონაწილეს ფიბა თავის შეხედულების მიხედვით დაადგენს

## საბერძნეთი

# ევროპის სუპერთასს ათენში ათამაშებენ

პლეი ოფის ნახევარფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ოლიმპიაკოსი** | **0** |
| **პაოკ** | **1** |

**ოლიმპიაკოსი 66:69 პაოკ**

**ოლიმპიაკოსი:** ბლუ ედვარდსი (13), ადე მანსა, ვუკჩევიჩი (3), პაპანიკოლაუ (3), რობინსონი (9), ტომიჩი (7), ტარლაჩი (16), დე მიგელი (11), გრანტი (4)

**პაოკ:** კოლდებელა (6), ნიკოლაიდისი, ბალოიანისი (15), პერალი (4), ბაზარევიჩი (2), ბილ ედვარდსი (25), ალექსანდერი (15), იანულისი (2)

ორივე გუნდს წლევანდელ ევროლიგაში ხელი მოეცარა და მთელი ყურადღება ქვეყნის ჩემპიონატზე გადაიტანა. „ოლიმპიაკოსმა“ რეგულარული ჩემპიონატი მოიგო და ნახევარფინალშიც და ფინალშიც (თუ გავიდა) საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება. ამ ნახევარფინალში გამარჯვებას დამატებითი ფასი და სტიმული აქვს: ფინალში გასული ავტომატურად მიიღებს 2000-2001 წლების სუპროლიგაში თამაშის უფლებას.

მატჩი პირეოსში, „მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეში“ გაიმართა. „ოლიმპიაკოსს“ 7 ათასი ქომაგი უჭერდა მხარს, მაგრამ სალონიკის პაოკ-მა ეს არად ჩააგდო და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. საკმარისია პაოკ-მა კვირას თავის ახალ დარბაზ „პილეაში“ აჯობოს მეტოქეს და ფინალში გავა.

პაოკი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა. ყველაზე დიდი სხვაობა მის სასარგებლოდ შვიდი ქულა იყო. „ოლიმპიაკოსი“ ბოლოსკენ გამოფხიზლდა და დამთავრებამდე 1,10 წუთით ადრე ამერიკელმა ბლუ ედვარდსმა ჩატენვით ორი ქულით დააწინაურა მასპინძლები.

სალონიკელთა კაპიტანმა იორგოს ბალოიანისმა ამ მატჩში ცხრა სამქულიანი ესროლა, მიზანს კი სამჯერ მიაღწია. მისი ბოლო ზუსტი სამქულიანი სირენამდე 45 წამით ადრე ჩავარდა. პაოკი 68:66 დაწინაურდა. საპასუხო შეტევისას „ოლიმპიაკოსის“ ჯეიმს რობინსონმა ააცილა. პაოკ-ის რუსმა სერგეი ბაზარევიჩმა ბურთი დაკარგა და პირეოსელებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ. გადამწყვეტი სროლა მილან ტომიჩმა იკისრა, მაგრამ მისი სამქულიანი რგოლს მოხვდა. პაოკელმა ბილ ედვარდსმა ბურთი მოხსნა და წამსვე მიიღო ორი საჯარიმო სროლის უფლება, რადგან სირენისთანავე ოლიმპიაკოსელები მასზე დაჯარიმდნენ. ედვარდსმა ერთი საჯარიმო ჩააგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.




პანათინაიკოსელმა ჟელკო რებრაჩამ (მარცხენა ფოტოზე) აეკ-ელი მარტინ მიუურსეპი ფარზე დაჩაგრა

| | |
|---|---|
| **პანათინაიკოსი** | **1** |
| **აეკ** | **0** |

**პანათინაიკოსი 79:69 აეკ**

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (6), კოხი (9), როჯერსი (5), ფოცისი (3), ჯენტილე (6), ბოდიროგა (12), რებრაჩა (15), ბერკი (13), კატაში (10)

**აეკ:** პაპანიკოლოპულოსი (3), ჰანსელი (2), კიკილიასი (3), ოსალივანი (5), ხაძისი (11), დიკუდისი (11), მიუურსეპი (11), ცაკალიდისი (8), ბოუი (7), კაკიუზისი (8)

ევროსეზონის ორი ტრიუმფატორის ნახევარფინალი დიდ ბრძოლას უქადის მაყურებელს. „პანათინაიკოსმა“, მოგეხსენებათ, წლეულს ევროლიგა მოიგო, აეკ-მა — საპორტას თასი. ამის გამო საბერძნეთში ეს შეხვედრა „ევროპის სუპერთასად“ მონათლა. ერთი თვის წინ აეკ-მა გაამწარა „პანათინაიკოსი“ — საბერძნეთის თასის ფინალში მოუგო.

ნახევარფინალის პირველი მატჩი ათენის „ოლიმპიურ სტადიონზე“ გაიმართა. მეტოქეებს ძირითადი გამთამაშებლები აკლდათ — აეკ-ელი აგელოს კორონიოსი და მისი პანათინაიკოსელი კოლეგა გიორგოს კალაიძისი ტრავმებს იშუშებენ. მასპინძელმა „პანათინაიკოსმა“ დასაწყისიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა. ამის უპირველესი მიზეზი ფარის მოგება გახლდათ: ჟელკო რებრაჩა და პატ ბერკი აშკარად ჩაგრავდნენ იაკოვოს ცაკალიდისს და მარტინ მიუურსეპს. „პანათინაიკოსმა“ ტაიმი 46:36 მოიგო, ხოლო 28-ე წუთზე მას შემდეგ, რაც გერმანელმა მიხაელ კოხმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, მასპინძელთა უპირატესობამ 14 ქულას უწია — 58:44. ამის შემდეგ თამაში ინერციით გაგრძელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერი პეიტონი

# გერი პეიტონი დაცვის ხუთეულებს თავკაცობს

გამოვლინდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 1999-2000 წლების სეზონის დაცვის პირველი და მეორე ხუთეული. მათი შერჩევის წესი ამგვარია: ლიგის 29 გუნდის მთავარი მწვრთნელები თითოეულ პოზიციაზე ასახელებენ ორ-ორ კალათბურთელს. პირველ ადგილზე გასული მოთამაშე იღებს ორ ქულას, მეორე ადგილზე გასული — ერთ ქულას. შედეგები ჯამდება და ვისაც კონკრეტულ პოზიციაზე ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდება, ხვდება დაცვის პირველ ხუთეულში, მეორე ადგილზე გასული — მეორე ხუთეულში. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელს არა აქვს უფლება ხმა მისცეს თავის გუნდის მოთამაშეს.

გამოკითხვამ ეს შედეგები მოიტანა:

| დაცვის პირველი ხუთეული | | | |
|---|---|---|---|
| უკანა ხაზი | გერი პეიტონი | სიეტლი | 52 ქულა |
| უკანა ხაზი | კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 33 ქულა |
| ფორვარდი | კევინ გარნეტი | მინესოტა | 31 ქულა |
| ფორვარდი | ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 29 ქულა |
| ცენტრი | ალონზო მურნინგი | მაიამი | 42 ქულა |
| **დაცვის მეორე ხუთეული** | | | |
| უკანა ხაზი | ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 26 ქულა |
| უკანა ხაზი | ედი ჯონსი | შარლოტი | 27 ქულა |
| ფორვარდი | სკოტი პიპენი | პორტლენდი | 19 ქულა |
| ფორვარდი | კლიფორდ რობინსონი | ფინიქსი | 18 ქულა |
| ცენტრი | შაკილ ონილი | ლეიკერსი | 29 ქულა |

თვალშისაცემია „სიეტლ სუპერსონიქსის“ გამთამაშებლის გერი პეიტონის უპირატესობა. მან 56 შესაძლებლიდან 52 ქულა დააგროვა და არა მხოლოდ თავის ამპლუის ხალხს, არამედ ყველა დანარჩენს აჯობა. პეიტონი მეშვიდედ მოხვდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დაცვის პირველ ხუთეულში, რითაც გაუთანაბრდა უოლტ ფრეზერს და დენის როდმანს. აღსანიშნავია, რომ 28 მწვრთნელიდან („სიეტლის“ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი პეიტონს ხმას ვერ მისცემდა) პეიტონი 24-მა პირველ ადგილზე დააყენა, ოთხმა — მეორეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მის დაცვით თვისებებს ვერცერთმა მწვრთნელმა ვერ აუარა გვერდი.

ჯამური ქულების მიხედვით მეორე ადგილზე გავიდა „მაიამი ჰითის“ ცენტრი ალონზო მურნინგი. იგი თექვსმეტმა მწვრთნელმა დაასახელა თავის ამპლუაში პირველ ნომრად, ათმა — მეორედ, ორმა კი საერთოდ არ გაიმეტა მისთვის ხმები. მურნინგი, ისევე როგორც „სან ანტონიო სფურზის“ ფორვარდი ტიმ დანკანი, მეორედ მოხვდა ლიგის დაცვის პირველ ხუთეულში. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ უკანახაზელ კობი ბრაიანტს და „მინესოტა ტიმბერვულვზის“ ფორვარდ კევინ გარნეტს ამგვარი პატივი პირველად ხვდათ.

| ყველაზე მეტჯერ დაცვის პირველ ხუთეულში | |
|---|---|
| მაიკლ ჯორდანი | 9 |
| სკოტი პიპენი | 8 |
| ბობი ჯონსი | 8 |
| გერი პეიტონი | 7 |
| უოლტ ფრეზერი | 7 |
| დენის როდმანი | 7 |
| დეივ დებუშერი | 6 |
| დენის ჯონსონი | 6 |

## ესპანეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2 |
| უნიკახა | 2 |
| უნიკახა 52:73 ბარსელონა | |
| კახა სან ფერნანდო | 1 |
| ტაუ | 3 |
| ტაუ 82:62 კახა სან ფერნანდო | |


ქირავდება

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა.

საერთო ფართი 150 კვ.მ.

„დინამო“ სტადიონთან

ქურდიანის (ყოფილი

გლდანის ქუჩაზე.

ტელ: 34-80-68



რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08


პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე

# მილერმა ბერდი დატოვა

## აღმოსავლეთი

4 მაისი

| | |
|---|---|
| *ინდიანა* | *3* |
| მილუოკი | 2 |

ინდიანა 96:95 მილუოკი

ინდიანა: ჯეკსონი (3), მილერი (41), როუზი (14), დევისი (10 ქულა, 12 მოხსნა), სმიტსი (6); ბესტი (8), მაკკეი (8), კროშერი (3), პერკინსი (9)

მილუოკი: კასელი (22), ალენი (18), რობინსონი (11), ჰემი (5), ჯონსონი (9); ტომასი (18), ვილიამსი (8), დელ ნეგრო (4)



REUTERS ინტერპრესნიუსი

ინდიანა — მილუოკი. ინდიანელი რეჯი მილერი რეი ალენს გადაელობა

გადაწყდა! ლეგენდარული მოთამაშე და მწვრთნელობაშიც არანკლებ სახელმოხვეჭილი ლარი ბერდი კვლავაც რჩება „ინდიანა პეისერზის“ მთავარ მწვრთნელად, მინიმუმ ორი კვირით. ამ სამი წლის განმავლობაში, რაც იგი „ინდიანას“ სათავეში უდგას, ბერდს ურიგო დამრიგებლის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მისი თაოსნობით „ინდიანამ“ ორჯერ უწია აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალს. ახლაც მოახერხა „პეისერზმა“ „მილუოკის“ დამარცხება, ხოლო წაგების შემთხვევაში, ეს თამაში, როგორც მწვრთნელისთვის, უკანასკნელი იქნებოდა, რადგან ბერდს კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი უმთავრდება და რაკი მას არ სურს ამ სფეროში თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის კვლავაც გაგრძელება, მის სამწვრთნელო კარიერას წერტილიც აქ დაესმებოდა. ბედად „ინდიანამ“ იმარჯვა. პლეი ოფის პირველ წრეში „პეისერზისგან“ ზედიზედ მეორედ ძლეული „მილუოკი“ კი იქნებ მეტსაც იმსახურებდა, მაგრამ ეს უკვე წარსულია და მაინც ნაკლებ სავარაუდოა, ჯორჯ კარლის ბიჭებს უკმაყოფილების გრძნობა ჰქონდეთ. მათ თავის მხრივ ყველაფერი გაიღეს — გული, სული და ჯიგარი და ღირსეულ ბრძოლაში ღირსეულ მეტოქესთან დამარცხდნენ.

თვითონ შეხვედრა წინასამატჩო ინტრიგის შესაფერისი გამოდგა და მასში ოქროსხელება ვეტერანმა რეჯი მილერმა გაიბრწყინა. თავისი ყიამყრალობით და ბოლო წამებზე ჩაგდებული, გადამწვეტი ბურთებით ცნობილი მილერი აწ უკვე განვლილი სერიის განმავლობაში არაერთხელ გახდა მედიის სამიზნე. მას პრესამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს, რადგან ყველა თამაშს, როგორც შეეფერება, ისე ვერ ატარებდა. აი, მილერის ჯერიც დადგა და მან ერთი ხელის მოსმით დაადუმა ოპონენტები. მას შემდეგ მოხდა, რაც „მილუოკის“ 41 ქულა ჩაუგდო და პლეი ოფში თავისი პირადი რეკორდი დაამყარა. მასზე აუგის სათქმელად ენა ვიღას მოუტრიალდება. „ვგონებ, ცუდად არ მითამაშია და ბედნიერი ვარ, რომ გუნდს მცირედით დავეხმარე“ — იმ საღამოს მილერი უჩვეულოდ თავმდაბალი გახლდათ.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, გაგრძელდა და დამთავრდა ისე, რომ არც ერთი გუნდი ათ ქულაზე მეტით წინ არ გასულა. მასპინძელთაგან, ცხადია, ყველაზე მეტად მილერი აქტიურობდა და ქულებსაც ბლომად აგროვებდა. სერიის წინა თამაშებისგან განსხვავებით, იგი აშკარად სჯობდა მილუოკელ რეი ალენს, თუმც შეტევაში მთელი არსებით გადართული რეჯი დაცვაში მოიკოჭლებდა და სტაბილურობით ცნობილი ალენი თავის წილ ქულებს მაინც აკეთებდა. ალენის მხარდამხარ იბრძოდა მეორე უკანახაზელი, გამთამაშებელი სემ კასელი, რომელიც მეტოქეს ორივე ფართან გვარიან პრობლემებს უქმნიდა. კასელმა „ინდიანას“ ორივე გამთამაშებელი — მარკ ჯეკსონი და ტრევის ბესტი ფაქტობრივად თამაშიდან გამოთიშა, რამაც, ცხადია, სტუმრებს საქმე გაუადვილა, მაგრამ სამაგიეროდ კასელმა საჯარიმოებიც ბლომად აგროვა და ბოლო მეოთხედის შუა წუთებში ექვსი ფოლის გამო თამაშსაც საბოლოოდ გამოეთიშა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, კასელის არყოფნამ „მილუოკის“ მარცხში გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ბოლო მეოთხედი. მანამდე ისედაც მშვენივრად მოთამაშეი რეჯი მილერი მეოთხე თორმეტწუთეულში სულ გადაირია და სტუმართა კალათი ააოხრა. მან ხუთწუთიან მონაკვეთში ერთბაშად 14, სულ მეოთხედში კი 18 ქულა დააგროვა, მაგრამ გადამწყვეტი ბურთი მაინც არა ამ საქმის სპეციალისტმა, არამედ სულ სხვამ ჩააგდო. მთელი თამაშის განმავლობაში სემ კასელის მეურვეობით შეჭირვებულ ტრევის ბესტს ბოლო წუთამდე 14 სროლიდან მხოლოდ ორი ჩაეგდო, მაგრამ ახლა კასელი მოედანზე აღარ იყო და სასროლ პოზიციაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბესტმა საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე სამქულიანის სროლა გარისკა. გაუმართლა, ბურთი კალათში ჩაეშვა და ანგარიში 96:95 გახდა. აქ „ინდიანას“ შეეძლო, კიდევ უფრო დაწინაურებულიყო, მაგრამ ჯალენ როუზმა 1,8 წამით ადრე ორი საჯარიმო ააცილა. „ინდიანა“ კინაღამ დაისაჯა როუზის გამო. 1,8 წამი საკმარისი აღმოჩნდა ბურთის გასათამაშებლად და რეი ალენმა დაახლოებით ცხრა მეტრიდან სროლა მოასწრო — ბურთი ოდნავ შეეხო რგოლს.

ირაკლი ფირაშვილი

# პორტლენდს თანაშემწე აღარ ჰყავს

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს, ბილ მუსელმანს ერთი თვის წინ დაუდგინეს ძვლის ტვინის კიბო. პირველ დღეებში მუსელმანი ავადმყოფობას არ შეეპუა, მაგრამ მერე ერთბაშად დასუსტდა და საავადმყოფოში მოათავეს. გუშინ მუსელმანი გარდაიცვალა.

ამ კაცის სამწვრთნელო კარიერა თითქმის ორმოცწლიანია. მას უმუშავია როგორც სტუდენტურ, ისე პროფესიულ კალათბურთში. მუსელმანი იყო „მინესოტა ტიმბერვულვზის“ პირველი მთავარი მწვრთნელი. სწორედ იგი ედგა სათავეში აღნიშნულ გუნდს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი სადებიუტო სეზონის განმავლობაში. საერთოდ, მუსელმანს ოთხი პროფესიული ლიგის გუნდები გაუწვრთნია — ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის, ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის და დასავლეთის საკალათბურთო ასოციაციის. მისი გაწვრთნილი გუნდები ზედიზედ ოთხჯერ გახდნენ კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონები: ორჯერ — „ტამპა ბეი“, თითოჯერ — „რაპიდ სიტი“ და „ოლბანი“.

ბოლო სამი სეზონი მუსელმანი „პორტლენდ ორეილ ბლეიზერსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. წლევანდელი პლეი ოფის პირველ წრეში მისი ყოფილი და ახლანდელი გუნდები — „მინესოტა“ და „პორტლენდი“ შეხვდნენ. მუსელმანს ძალიან სურდა მატჩებზე დასწრება, მაგრამ ექიმებმა ამის ნება არ მისცეს. სერიის მოგების შემდეგ „პორტლენდის“ ფორვარდმა სკოტი პიპენმა თქვა: „ამ გამარჯვებას ბილს ვუძღვნით და მის სწრაფ გამოჯანმრთელებაზე ვლოცულობთ“.

ბილ მუსელმანი 59 წლისა იყო.



ბილ მუსელმანი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. II ბუნდესლიგა. 30-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 003 | ფორტუნა-ბოხუმი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 7 მაისი | | | |
| 004 | ნიურნბერგი-ფიურტი ($17^{45}$) | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 005 | ნიურნბერგი-ფიურტი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 006 | ოფენბახი-ბერლინი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 007 | მაინცი-კიკერსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 008 | ქემნიცი-ობერჰაუზენი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 8 მაისი | | | |
| 009 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 37-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 010 | მანჩესტერი-ტოტენჰემი ($15^{30}$) | 1.45 | 3,5 | 6,0 |
| 011 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 012 | არსენალი-ჩელსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 013 | ქოვენტრი-უენსდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 014 | დერბი-ნიუკასლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 015 | ლესტერი-ბრედფორდი | 1,9 | 3,4 | 3,0 |
| 016 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 017 | მიდლსბრო-უოტფორდი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 018 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 019 | უიმბლდონი-ასტონ ვილა | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| | 7 მაისი | | | |
| 020 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 021 | ლივერპული-საუთჰემპტონი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 8 მაისი | | | |
| 022 | ლიდსი-ევერტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 023 | ლიდსი-ევერტონი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

ინგლისი. I დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 024 | ბარნსლი-ქრიუ ($17^{30}$) | 1,6 | 3,3 | 4,4 |
| 025 | ბირმინგემი-გრიმსბი ($17^{30}$) | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 026 | ბირმინგემი-გრიმსბი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,8 |
| 027 | ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი ($17^{30}$) | 3,2 | 2,7 | 2,1 |
| 028 | ბოლტონი-ნორვიჩი ($17^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 029 | ბოლტონი-ნორვიჩი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 2,9 | 3,2 |
| 030 | ფულემი-ჰადერსფილდი ($17^{30}$) | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 031 | იფსვიჩი-უოლსოლი ($17^{30}$) | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| 032 | იფსვიჩი-უოლსოლი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 033 | პორტ ვეილი-ვულვერჰემპტონი ($17^{30}$) | 4,4 | 3,6 | 1,55 |
| 034 | პორტსმუთი-ქუინზ პარკი ($17^{30}$) | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 035 | შეფილდი-სუინდონი ($17^{30}$) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 036 | სტოკპორტი-ნოტინგემი ($17^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 037 | ტრანმერი-კრისტალ პალასი ($17^{30}$) | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 038 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი ($17^{30}$) | 1,8 | 3,2 | 2,8 |

ინგლისი. II დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 039 | ბლეკპული-ჩესტერფილდი | 1,25 | 4,0 | 4,0 |
| 040 | ბორნმუთი-უიგანი | 4,0 | 3,4 | 1,65 |
| 041 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 042 | ბრისტოლი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 043 | კემბრიჯი-უიკომბი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 044 | კარდიფი-როვერსი | 3,2 | 3,5 | 1,7 |
| 045 | ლუტონი-ოლდემი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 046 | მილუოლი-ოქსფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 047 | მილუოლი-ოქსფორდი | | | |
| | 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,5 |
| 048 | ნოტსი-ბერი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 049 | რედინგი-სტოკი | 3,5 | 2,8 | 1,9 |
| 050 | სკანთორპი-ბარნლი | 4,0 | 3,8 | 1,55 |
| 051 | რექსემი-ჯილინგემი | 5,6 | 4,4 | 1,4 |

ინგლისი. III დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 052 | ბრაიტონი-კარლაისლი | 1,8 | 3,4 | 3,0 |
| 053 | ჩესტერი-პიტერბრო | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 054 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 055 | დარლინგტონი-ლინკოლნი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 056 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 057 | ჰალიფაქსი-მაკლსფილდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 058 | ჰალი-ჰართლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 059 | ლეიტონი-იორკი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 060 | მენსფილდი-პლიმუთი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 061 | როჩდეილი-ბარნეტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 062 | როტერჰემი-სუონსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 063 | ხაუთენდი-ჩელტენემი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 064 | ტორკი-ნორთჰემპტონი | 2,5 | 2,6 | 2,7 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 073 | ნიორი-ტულუზი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 074 | გენიონი-ლავალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 075 | ლილი-ამიენი | 1,5 | 3,6 | 4,7 |

იტალია. სერია "ა". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 076 | ბოლონია-ლაციო | 4,7 | 3,2 | 1,65 |
| 077 | ინტერი-ფიორენტინა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 078 | იუვენტუსი-პარმა | 1,5 | 3,0 | 6,0 |
| 079 | ლეჩე-ტორინო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 080 | პიაჩენცა-კალიარი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 081 | რეჯინა-ვერონა | 2,2 | 1,8 | 4,0 |
| 082 | რომა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,8 |
| 083 | უდინეზე-პერუჯა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 084 | ვენეცია-ბარი | 3,0 | 2,9 | 1,8 |

იტალია. სერია "ბ". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 086 | ალძანო-ტრევიზო | 2,0 | 2,6 | 3,6 |
| 087 | ბრეშა-ჩეზენა | 1,4 | 3,8 | 8,0 |
| 088 | კიევო-ატალანტა | 3,4 | 2,0 | 2,6 |
| 089 | ფერმანა-ჯენოა | 4,2 | 2,8 | 1,8 |
| 090 | რავენა-პესკარა | 2,2 | 2,2 | 4,0 |
| 091 | სალერნიტანა-კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| 092 | სამპდორია-ვიჩენცა | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 093 | სავოია-მონცა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| | 8 მაისი | | | |
| 094 | ემპოლი-ნაპოლი | 3,0 | 2,2 | 2,6 |

იტალია. სერია "ცI/ა". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 095 | ბრეშელო-კარარეზე | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 096 | ჩიტადელა-კრემონეზე | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 097 | კომო-სპალ | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 098 | ლივორნო-რეჯანა | 2,0 | 2,7 | 3,5 |
| 099 | ლუკეზე-პიზა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 100 | ლუმეცანე-ალბინოლეფე | 1,8 | 2,7 | 4,4 |
| 101 | მოდენა-ლეკო | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 102 | სიენა-სანდონა | 1,15 | 5,0 | 10,0 |
| 103 | სიენა-სანდონა | | | |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 3,8 |
| 104 | ვარეზე-მონტევარკი | 1,35 | 2,8 | 9,0 |
| 105 | ვარეზე-მონტევარკი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,4 |

იტალია. სერია "ცI/ბ". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 106 | ანკონა-კატანია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 107 | არეცო-ასკოლი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 108 | ატლეტიკო-აველინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 109 | დი სანგრო-მარსალა | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 110 | ფ.ანდრია-კროტონე | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 111 | გუალდო-ჯულიანოვა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 112 | ნოჩერინა-პალერმო | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 113 | სტაბია-ლოდიჯანი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 114 | ვიტერბეზე-ბენევენტო | 1,55 | 3,0 | 7,5 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 115 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 116 | რეალი-ალავესი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 117 | ვალენსია-ხოსიედადი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 118 | ვალენსია-ხოსიედადი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 119 | ბარსელონა-რაიო ვალეკანო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 120 | ბარსელონა-რ.ვალეკანო | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 7 მაისი | | | |
| 121 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,75 | 3,3 | 3,4 |
| 122 | ბილბაო-რასინგი | 1,9 | 2,8 | 4,0 |
| 123 | მალაგა-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 124 | ოვიედო-ატლეტიკო | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| 125 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 3,1 | 1,9 |
| 126 | დეპორტივო-სარაგოსა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 129 | ატლეტიკო "ბ"-ტენერიფე | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 133 | კორდობა-ეიბარი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 134 | ლას პალმასი-ხეტაფე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 135 | ლას პალმასი-ხეტაფე | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 137 | ლეიდა-ალბასეტე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | 7 მაისი | | | |
| 127 | ტოლედო-უელვა | 2,3 | 3,3 | 2,3 |
| 128 | მერიდა-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 130 | ლეგანესი-ლევანტე ($15^{00}$) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 131 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 132 | კომპოსტელა-ელჩე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 136 | ლოგრონიესი-ბადახოსი | 1,9 | 3,1 | 3,3 |
| 138 | სალამანკა-ესტრემადურა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

პორტუგალია. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 140 | ბელენენსეში-სეტუბალი | 1,9 | 3,3 | 3,0 |
| 141 | სპორტინგი-ბენფიკა | 1,65 | 3,1 | 4,0 |
| | 7 მაისი | | | |
| 142 | ალვერკა-ბოავიშტა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 143 | კამპომაიორენსე-ფარენსე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 144 | მარიტიმუ-რიუ ავე | 1,6 | 3,5 | 3,5 |
| 145 | ბრაგა-ჟილ ვისენტე | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 146 | ლეირია-სანტა კლარა | 1,8 | 3,3 | 3,2 |
| 147 | პორტუ-ამადორა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 148 | პორტუ-ამადორა | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

ჰოლანდია. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 149 | აიაქსი-მაასტრიხტი ($17^{30}$) | 1,25 | 4,7 | 7,0 |
| 150 | აიაქსი-მაასტრიხტი | | | |
| | 0:1 | 1,75 | 3,5 | 2,7 |
| 151 | ალკმაარი-ვიტესი ($17^{30}$) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 152 | სიტარდი-როდა ($17^{30}$) | 2,4 | 3,1 | 2,5 |
| 153 | ჰერენვენი-დენ ბოსხი ($17^{30}$) | 1,25 | 4,7 | 7,0 |
| 154 | ჰერენვენი-დენ ბოსხი | | | |
| | 0:1 | 1,75 | 3,5 | 2,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 155 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი ($17^{30}$) | 3,4 | 3,3 | 1,75 |
| 156 | ვალვაიკი-უტრეხტი ($17^{30}$) | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 157 | სპარტა-პსვ ($17^{30}$) | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 158 | ტვენტე-გრააფსხაპი ($17^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 159 | ტვენტე-გრააფსხაპი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 160 | ტილბურგი-კამბური ($17^{30}$) | 1,5 | 3,6 | 3,6 |

### ჩეხეთი. 28-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | სპარტა-სლავია | 1,8 | 2,9 | 4,0 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | დუკლა-ბანიკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 176 | ბოჰემიანსი-ჰ.კრალოვე | 1,65 | 3,5 | 3,8 |
| 177 | ბრნო-ლიბერეცი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 178 | ტეპლიცე-სიგმა | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 179 | იაბლონეცი-დრნოვიცე | 1,9 | 3,3 | 3,1 |
| 180 | ოპავა-ვიქტორია | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### პოლონეთი. 26-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | ლეხი-ვიძევი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 183 | ოდრა-გროცლინი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 185 | ზაგლებე-პოლონია | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 186 | გურნიკი-რუხი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 187 | ლკს-ვისლა | 2,9 | 3,0 | 2,2 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | პლოცკი-რაძიონკოვი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 184 | ამიცა-სტომილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 188 | ლეგია-პოგონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 189 | ლეგია-პოგონი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

### თურქეთი. 32-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | ბურსა-დენიზლი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 193 | გიოზთეფე-ბეშიქთაში | 5,0 | 4,0 | 1,35 |
| 194 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | ადანა-ალთაი | 1,9 | 3,2 | 3,2 |
| 196 | სამსუნი-ერზურუმი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 197 | ანკარაგიუჯიუ-ისთანბული | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 198 | ანთალია-ვანი | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 199 | ანთალია-ვანი | | | |
| | 0:1 | 1,3 | 3,2 | 3,5 |
| 200 | გალათასარაი-ქოჯაელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 201 | გალათასარაი-ქოჯაელი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### შოტლანდია. 34-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 202 | სელტიკი-აბერდინი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 203 | სელტიკი-აბერდინი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,6 |
| 204 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 205 | ჰართსი-სენტ ჯონსტონი | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| 206 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 4,4 | 3,8 | 1,5 |

### ავსტრია. 32-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 210 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 211 | გრაცერი-რიდი | 2,1 | 2,9 | 3,3 |
| 212 | ლინცერი-აუსტრია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 213 | რაპიდი-შტურმი | 1,9 | 3,0 | 3,6 |

### შვეიცარია. მე-9 ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | სერვეტი-ლოზანა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ივერდონი-ბაზელი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 216 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 217 | გრასჰოპერი-ლუცერნი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 218 | სენტ გალენი-ქსამაქსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 219 | სენტ გალენი-ქსამაქსი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### დანია. 28-ე ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | აკადემისკი-ვაილე | 1,7 | 3,3 | 3,8 |
| 221 | სილკებორგი-ვიბორგი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 222 | ოდენსე-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 223 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 4,7 | 3,8 | 1,5 |
| 224 | ჰერფიოლგე-ლიუნგბიუ | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| 225 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### რუსეთი. მე-7 ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 226 | ფაკელი-ცსკა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 227 | როტორი-სპარტაკი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 228 | ანჟი-კრილია სოვეტოვი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 229 | ნ.ნოვგოროდი-ლოკომოტივი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 230 | დინამო-ურალანი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 231 | დინამო-ურალანი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 232 | სატურნი-ალანია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 233 | ჩერნომორეცი-როსტსელმაში | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 234 | ტორპედო-ზენიტი ($16^{00}$) | 1,7 | 2,9 | 5,3 |

### შვედეთი. მე-5 ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 236 | ტრელებორგი-ჰოკენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 237 | ფრიოლუნდა-ელფსბორგი | 2,1 | 3,3 | 2,9 |

8 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | აიკ-ჰამარბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 239 | გიოტებორგი-ორებრო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 240 | ჰელსინგბორგი-გაის | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 241 | სუნდსვალი-ნორჩიოპინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ნორვეგია. მე-6 ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 242 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2,0 | 3,2 | 3,1 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 243 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 244 | ბრინი-მოსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 245 | რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 246 | რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 247 | სტარტი-მოლდე | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 248 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 249 | ვოლერენგა-სტაბეკი | 1,9 | 3,4 | 2,9 |

### გერმანია. თასის ფინალი (ბერლინში)

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 250 | ბაიერნი-ვერდერი | 1,75 | 3,1 | 3,8 |

### საფრანგეთი. თასის ფინალი (პარიზში)

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | კალე-ნანტი | 5,0 | 3,4 | 1,5 |

### ჰოკეი. 1/4 ფინალი

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | | | |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 806 | ფილადელფია-პიტსბურგი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 807 | დალასი-სან ხოსე | | | |
| 808 | დეტროიტი-კოლორადო | | | |

8 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 809 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | | | |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 814 | შვედეთი-შვეიცარია | 1,1 | 4,4 | 5,6 |
| 815 | სლოვაკეთი-ნორვეგია | 1,4 | 4,0 | 2,3 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## ველორბოლა

# სუპეროროვის ნაკვალევზე


REUTERS ფოტო

ალპები პირველმა. მარიო ჩიპოლინიმ გადალახა

ამ დღეებში მსოფლიო ველორბოლის ყველაზე მნიშვნელოვანი სარბიელი შვეიცარიის ოღროჩოღრო ბილიკები გახლავთ. „ოღროჩოღროში" გზათა მოხაზულობა უნდა ვიგულისხმოთ და არა ხარისხი, თორემ „რომანდიის ტურის" მონაწილეები შვეიცარიაში ვერაფრით დაიჩივლებენ, ასფალტია ამომტვრეული და გზებზე გუბეები გვაწუხებსო. ტური მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს დაიწყო და საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. სამაგალითოდ იტალიელ მარიო ჩიპოლინის დავასახელებთ, რომელმაც პირველ ეტაპზე, სწორედ შვეიცარიის იტალიურ ნაწილში რომ გაიმართა, გამარჯვება ვერ მოიპოვა. ეს პატივი მისმა თვისტომმა პაოლო სავოლდელიმ ირგუნა, როცა 6,5-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა ყველაზე სწრაფად ჩააბარა. იქიდან მოყოლებული კიდევ ორი ეტაპი მოეწყო, მაგრამ სავოლდელის ლიდერის მწვანე მაისურა ჯერაც ვერავინ გახადა და საერთოდ, ეს არცთუ იოლი საქმე ჩანს. მეორე ეტაპზე ველომრბოლელებმა ლოკარნო დატოვეს და შვეიცარიის ალპების ყველაზე ციცაბო და საშიშ უბნებში შერგეს თავი (ეშმაკის ხიდი და ა.შ.). 225,1-კილომეტრიანი გზა ლე ბუვერეში უნდა გასრულებულიყო და სათაურში ნახსენები დიდი სარდლისა და მისი ჯარისგან ორი საუკუნის წინ გავლილი მარშრუტი, ყველაზე სწრაფად ზემოთ ნახსენებმა ჩიპოლინიმ გაიარა. სახელოვანი იტალიელი თავიდან არცთუ მოწინავე იყო, პელეტონის რომელიღაც პოზიციაზე მიაქანებდა თავის რკინის მერანს და მხოლოდ გზის მეორე ნახევარში გამოიღო ხელი. მანამდე ვინმე დომინიკ პერასი ლიდერობდა, რომელიც ერთხანს ისე მონდომებულად ატრიალებდა პედლებს, რომ პელეტონთან მრგვალი რვაწუთიანი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა შემდეგ კოლექტივმა მოუჩქარა და ფინიშამდე ორმოცი კილომეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი, როცა პერასი საერთო ჯგროში ჩაიკარგა, იქიდან კი იმ წამის მეასედებისა და სანტიმეტრებისთვის ბრძოლა გაჩაღდა, რომელთაც გამარჯვებული უნდა გაერკვია.

ბებერი იტალიელი სხვებზე ყოჩაღი გამოდგა. მისი ველოსიპედის ბორბლებმა სულ ცოტათი ადრე გადაუარა ფინიშის ხაზს, ვიდრე თანამემამულის, ფაბრიციო გიდის და დანიელი ტაიებ ბრაიკიასამ. დღეს მოგება მინდოდა და ამიტომაც მოვიგეო, უთქვამს შემდეგ ჩიპოლინის და ტურის ორგანიზატორები ცოტათი გაუკრიტიკებია, ეტაპის დასკვნითი ნაწილი სიცოცხლისთვის საშიში იყოო. „გზის ბოლო, კისრის მოსატეხად ერთობ ხელსაყრელი ჩანდა — ჩიპოლინის სიტყვებია — მე მესმის, რომ ორგანიზატორებმა მრბოლებს ხანდახან სპეციფიკური სირთულეებიც უნდა შეუქმნან, მაგრამ იმასაც ვისურვებდი, ჩვენთვის მეტი პატივი ეცათ", ვეტერანი იტალიელის ამ მიღწევამ მის ირგვლივ არსებული გამარჯვებათა სტატისტიკა შემდეგნაირად შეავსო: კარიერაში 147-ე, სეზონში მე-4 და „რომანდიის ტურში" — მე-10. გვარიანი რიცხვებია! თუმცა ყოველივე ამან საერთო ჩათვლაზე მხოლოდ იმდენად იმოქმედა, რომ ჩიპოლინი მე-2 ადგილზე დასვა, სავოლდელისგან ათწამიანი ჩამორჩენით.

მესამე ეტაპმა ფრანგულ შვეიცარიაში ჩაიარა და ლა-შო-დე-ფონში დასრულდა 161-კილომეტრიანი გზის გალევის შემდეგ. იგი დაახლოებით იქვე მცხოვრებმა კაცმა, ლორან დიუფომ მოიგო და ფინიშზე მოწინავედ გადასვლის შემდეგ მღელვარების დაფარვა არც უცდია — თურმე ბოლო ორი წლის მანძილზე ეს მისი პირველი გამარჯვება ყოფილა, იგი კი იოლად არ მოსულა. ერთდროულად შვიდი კაცი მიადგა ფინიშს და სხვებზე წინ დიუფოსთან ერთად იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდე და ფრანგი ივონ ლედანუ მიქროდნენ. შვეიცარიელმა ბეწვზე გაუსწრო ორივეს.

„რომანდიის ტურის" შემდეგი ეტაპები გახლავთ ჯერ 66-კილომეტრიანი სპრინტი და მერე 24-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა, ქალაქ ორბეს შემოგარენში რომ უნდა მიეწყოს. მანამდე საერთო ჩათვლას კვლავ პაოლო სავოლდელი ლიდერობს და მას არც სხვები ჩამორჩებიან იმგვარად, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილად მივიჩნიოთ. სხვა თუ არაფერი, ერთი სიჩაუქის გამოცდა ხომ წინაა და ქვემორე ცხრილში იმის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება.

**დავით გულუა**

### რომანდიის ტური

საერთო ჩათვლა 3 ეტაპის შემდგ

1. პაოლო სავოლდელი (იტალია) — 10:31:34
2. ინიგო კუესტა (ესპანეთი) — +17
3. გაბრიელ მასაგლია (იტალია) — +19
4. ხოსება ბელოკი (ესპანეთი) — +19
5. ლორან დიუფო (შვეიცარია) — +20
6. ივონ ლედანუ (საფრანგეთი) — +21
7. რომანს ვაინშტეინსი (ლატვია) — +21
8. მათიას ბუქსჰოფერი (ავსტრია) — +22
9. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი) — +22
10. ენრიკო კაზანი (იტალია) — +23

## ოლიმპიზმი

# საფლავშიც აღარ ასვენებენ

პალესტინელი ოფიციოზები აღშფოთებულან შარშან, სექტემბერში სიდნეის ოლიმპიურ პარკში მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე თვისტომთა მიერ მოკლული 11 ებრაელი სპორტსმენისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მემორიალური ძეგლის აღმართვის გამო.

— ჩვენ მოვუწოდებთ სოკ-ს, რათა აიღონ ეს მონუმენტი. იგი ეწინააღმდეგება ოლიმპიზმის მიზნებსა და ქარტიას. მოგიწოდებთ, რომ ოლიმპიური თამაშები არ იყოს პოლიტიზირებული — განუცხადა „როიტერს" ავსტრალიაში პალესტინის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალი კაზაკმა და იქვე დასძინა — იმ შემთხვევაში, თუ ქანდაკება თავის ადგილზე დარჩება, მაშინ პალესტინა და არაბული სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ ასეთივე მონუმენტი დაუდგან იმ ათასობით მოკლულ არაბს, რომელთა შორის არაერთი ათლეტი იყო, ვინც წლების განმავლობაში ისრაელის აგრესიას ემსხვერპლაო.

საინტერესოა, რომ კაზაკმა უარყო ერთ-ერთ ავსტრალიურ გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა, თითქოს პალესტინის ოლიმპიურმა კომიტეტმა მოუწოდა არაბულ ქვეყნებს სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისკენ, რათა ამით ზემოხსენებული ქანდაკების ასაღებად მოეხდინათ ზეწოლა.

— ჩვენ არასოდეს მოგვიწოდებია ბოიკოტისკენ და ვიმედოვნებთ, რომ ასეთ ნაბიჯს არც მომავალში გადავდგამთ — განაცხადა კაზაკმა და წინადადებაც შემოიტანა, ებრაელი სპორტსმენების ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს ქანდაკება სადმე სხვაგან დადგითო.

— მაშინ, როდესაც ამხელა კონტინენტია, რაღა მაინცდამაინც ეს პატარა ადგილი აირჩიეს ქანდაკებისთვის? — გაოცებულია კაზაკი.

პალესტინელმა დიდმოხელეებმა და არაბულმა სახელმწიფოებმა ერთ საქმეში მაინც მიაღწიეს თავისას. მათ თებერვალში ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს გადაათქმევინეს დალუპული ებრაელი სპორტსმენებისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილის გეგმა, რომელიც სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალისთვის იყო ჩაფიქრებული.

— თუ წუთიერი დუმილით პატივის მიგება სურთ, მაშინ ჩვენც მოვითხოვთ, რომ ასეთი პატივი დასდონ პალესტინელ და არაბ სპორტსმენებსაც, რომლებიც ისრაელის ჯარსა მოუკლეს — ამბობენ ისინი.

მიუხედავად ამისა, პალესტინის ხელმძღვანელობა, რომელიც აკონტროლებს დასავლეთ სანაპიროსა და გაზის სექტორის ნაწილს, გეგმავს სიდნეის ოლიმპურ თამაშებზე ორი სპორტსმენი გაგზავნოს.

სხვათა შორის, პალესტინელები 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზეც ორი სპორტსმენით წარსდგნენ.

შეგახსენებთ, რომ 1972 წლის სექტემბერში პალესტინის „შავი სექტემბრის" დაჯგუფების შეიარაღებულმა ტერორისტებმა შეაღწიეს მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში, იქ, სადაც ებრაელი სპორტსმენები იყვნენ დაბინავებულნი. ტერორისტებმა მოკლეს ორი სპორტსმენი, ხოლო ცხრა დაატყვევეს. პოლიციელთა მიერ ებრაელი ტყვეების განთავისუფლების მცდელობა ტრაგიკულად დამთავრდა. დაიღუპა ცხრა სპორტსმენი და მათთან ერთად ხუთი პალესტინელი ტერორისტი და პოლიციელი.

**გიგა გურასაშვილი**

## ავტორბოლა

# F1

მეხუთე ეტაპი — ესპანეთის დიდი პრიზი

## კატალუნია

ბარსელონა, 7 მაისი



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 4.730 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 65 წრე — 307.323 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე.

### შარშანდელი შედეგები

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 მ. შუმახერი (ფერარი); 4 ირვინი (ფერარი); 5 რ. შუმახერი (უილიამსი); 6 ტრული (პროსტი)

**კვალიფიკაცია** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:22.088

### წინა წლების გამარჯვებულები

1990 — პროსტი (ფერარი); 1991 — მენსელი (უილიამსი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — ჰილი (უილიამსი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 — მ. შუმახერი (ფერარი); 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი)

**საუკეთესო წრე** ფიზიკელა (ჯორდანი) - 1997 — 1:22.242

# დევიდს საზამთრო რაღას დააკლებს

გუშინწინ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე, „მაკლარენის" მრბოლმა დევიდ კულჰარდმა განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს და ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. არადა, ოთხი დღის წინ საშინელ ავიაკატასტროფაში სასწაულებრივად, ანუ უვნებლად გადარჩენილი, მაგრამ, ცხადია, ფსიქოლოგიურ შოკში მყოფი პილოტის გამოსვლა ამ ეტაპზე ბევრს წარმოუდგენლად მიაჩნდა. უბედნიერეს ვარსკვლავზე დაბადებულმა შოტლანდიელმა კი სწორედ თავისი ხელობის სადარი გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, ხვალ, ესპანეთის დიდი პრიზის 30-ე გათამაშების სტარტზე სხვებთან ერთად წინა, ბრიტანული ეტაპის მომგები და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი კულჰარდიც გავა.

პირინეის ნახევარკუნძულზე პირველი რბოლა 1951 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა ბარსელონის გარეუბან პედრაბლესში. ის სადებიუტო ეტაპი ბოლო, მერვე იყო კალენდარში და სწორედ მას უნდა დაესახელებინა ჩემპიონი. პირველ დიდ პრიზს არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო დაეუფლა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. ამ ისტორიული გამარჯვების უკვდავსაყოფად ლეგენდარული სამხრეთამერიკელი მრბოლი და მისი უბადლო „ალფა რომეოც", „კატალუნიის" შესასვლელთან ქვაში გამოაქანდაკეს და საყოველთაო მზერის საგნადაც აქციეს.

1975 წელს „მონჟუიკზე" (ისიც ბარსელონაშია) ფორმულის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა: გერმანელი რალფ შტომელენის გზააბნეული „ლოლა" დამცავ ღობეს გადააფრინდა და ხუთი მაყურებლის სიცოცხლე იმსხვერპლა. რბოლა, ცხადია, შეწყდა და რაკი დისტანციის ორი მესამედი გავლილი იყო, მძღოლებს სანახევრო ქულები ჩაუთვალეს. მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა და საამისო ნახევარი ქულაც მიიღო ლეილა ლომბარდიმ. მამაცი იტალიელი ერთადერთი ქალია ფორმულის ისტორიაში, ვისაც კი ქულა მოუპოვებია. სამწუხაროდ, ლომბარდის ხანმოკლე კარიერა სულ 12 რბოლაში მონაწილეობით შემოიფარგლა.

ესპანეთის ტრასებზე სამ-სამჯერ გაუმარჯვნიათ ჯეკი სტიუარტს, ნაიჯელ მენსელსა და ალენ პროსტს. ორ-ორი მოგება აქვთ მიხაელ შუმახერსა და მიკა ჰაკინენს.

თავისებური რეკორდი ეკუთვნის პროსტს — „პროფესორმა" შვიდჯერ იასპარეზა ესპანეთში და შვიდჯერვე პოდიუმზე შედგა. არანაკლებ შთამბეჭდავია შუმახერის სერიაც, იგი რვა რბოლაში მონაწილეობდა და ერთხელაც არ დარჩენილა უქულოდ. შუმის მარაგშიც შვიდი პოდიუმია.

ათი წლის წინ მონტმელოს (რაც საზამთროს ნიშნავს) მთაზე მოწყობილი ტრასა, მრბოლებისა და სპეციალისტების შეფასებით, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. თითქმის ხუთკილომეტრიან წრეზე ორი გრძელი მონაკვეთია, სადაც შესაძლოა 300-კილომეტრიანი სიჩქარის დაძლევა. სხვა ავტოდრომებისგან განსხვავებით, „კატალუნიაზე" მოსახვევებს ავტოკონცერნებისა (რენო, ნისან, ელფ) და სპონსორი-ბანკების (ლა კაიქსა, ბენკ საბადი) სახელები ამშვენებს.

და კიდევ: ბოლო ორი რბოლის პოდიუმი ზუსტად ერთნაირი იყო — ჰაკინენი, კულჰარდი, მიხაელ შუმახერი. მიკას „საზამთრო" კარგად დაებედა და ორჯერვე ჩემპიონობაც მოიპოვა. ისე, ესპანეთში ზედიზედ სამჯერ გამარჯვება დღემდე ერთადერთმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ჯეკი სტიუარტმა შეძლო 1969-71 წლებში, თანაც სამჯერვე სხვადასხვა ბოლიდით.



დევიდ კულჰარდი გუშინ საჭეს მიუჯდა და ვარჯიში მეხუთე შედეგით დაასრულა

## წყალბურთი

# დღეს ლიტვას ჩვენ უნდა მოვუგოთ!




ტურნირის გახსნის ტრადიციული ცერემონიალი

გუშინ „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში საზეიმოდ გაიხსნა ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ნახევარსაათიანი ცერემონიალის მერე რუმინელებისა და ლიტველების შეხვედრამდე მცირე დრო რჩებოდა, როცა ტურნირის დელეგატმა, ფრანგმა ალფონსე ანჟელამ აუზს თვალი მოავლო და შეამჩნია, რომ რაღაც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე არ იყო. მისი შენიშვნების გამოსასწორებლად კიდევ ნახევარი საათი დასჭირდათ. ბოლოს თამაშიც დაიწყო, რომელშიც რუმინელებმა პირწმინდად აჯობეს ბალტიისპირელებს. ამაზე ანგარიშიც კარგად მეტყველებს — 20:4. საცქერლად უინტერესო თამაშმა ცხადყო, რომ დღეს, 12 საათზე, ჩვენებს ლიტველებთან დიდი ჯაფა არ უნდა დაადგეთ, ხვალ კი რუმინელებთან მედგარი ბრძოლა ელით. აღმოსავლეთევროპელებმა ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეს. მათ მიერ გუშინ გატანილი გოლები მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია. თუ ქართველები დღეს მოიგებენ, ჯგუფში მეორე ადგილს და ფინალურ ეტაპზე მოხვედრას გაინაღდებენ. რუმინელებთან ხვალინდელი შეხვედრა კი პრესტიჟის საქმე იქნება.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ ჭაბუკთა ნაკრები რუსეთის ღია პირველობის ფინალში გაიყვანა (რომელიც დღეს გაიმართება) და გუშინვე გვიან ღამით თბილისში დაბრუნდა. ამიტომაც გუშინ ნაკრების მეორე მწვრთნელს ბორის მეგედს ვესაუბრეთ.

— ჩვენთვის უმთავრესი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ თუ მეორეს, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, თუმცა ორივე მეტოქის დამარცხება ძალიან გვინდა. გვსურს, საკუთარ მაყურებელთან არ შევრცხვეთ და ჩვენი თამაშით ვასიამოვნოთ. რუმინეთის გუნდი ძალიან ძლიერია და მასთან რომ გაგვიჭირდება, ვიცით, მაგრამ არც ჩვენ ვართ სუსტნი, ძირითადის ექვს წევრს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. მოსამზადებელი ეტაპიც ნაყოფიერად გამოვიყენეთ და ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით გავაკეთეთ.

**— ნაკრებს ცალკეული რგოლების მიხედვით ხომ არ დაგვიხასიათებდით?**

— გუნდში ორი თანაბარი და მაღალი კლასის მეკარეა — გიორგი არაზაშვილი და გიორგი მაისურაძე. ისინი მორიგეობით დგანან კარში იმის მიხედვით, კონკრეტულ მომენტში ვინ უკეთ თამაშობს. დაცვაში გიორგი მაზიაშვილის იმედი გვაქვს, შუა ხაზში კი პავლე ჯაფარიძე და ირაკლი დოკვაძე თამაშობენ. ყველა კარგადაა მომზადებული და ალბათ თავიანთ მოვალეობასაც პირნათლად შეასრულებს. თავდასხმაში რევაზ გიორგაძე და როინ ცაგარელი გვყავს. ისინი იმდენად ძლიერები არიან, ამ ტურნირზე მათი ბადალი არ გვეგულება. აქვე თამაშობს მიხეილ ოგანეზოვიც, რომელიც არანაკლებ ძლიერია.

ირაკლი თავაძე



რუმინელთა იერიშებისას ლიტველები მაყურებლები თუ იყვნენ

## ჭადრაკი

# ქებაი და დიდებაი იუდითისა

## პოლგარმა კაცებიც შეარცხვინა და კაციც იშოვა

ბარაქალა, პოლგარიანთ ქალო! რომ იცოდე, რამხელა წვლილი შეიტანე ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის საქმეში! მივიდნენ და ამტკიცონ ამის შემდეგ ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა, ჩვენი ტვინი ქალებისას სჯობსო. შენ არაფერს იტყვი, მხოლოდ ირონიულად ჩაიღიმებ და ზოგიერთებს კუნძულ ბალიზე ახლახან დამთავრებული ტურნირისკენ გაახედებ უკომენტაროდ. იქ ყველა ნახავს შენგან გაწბილებულ ორ მსოფლიოს ჩემპიონსა და კიდევ ბევრ ქებულ დიდოსტატს, აქამდე ცა ქუდად რომ არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ახლა მხოლოდ კასპაროვის მორევაღა დაგრჩენია და ვინღაა მერე ხმის ამომღები!

იუდით პოლგარი სადღეისოდ გარი კასპაროვს რომ მოერევა, მეტი არაა ჩემი მტერი და ინდონეზიის არქიპელაგზე არატოლი კარპოვისა და ალექსანდრ ხალიფმანის უკან მოტოვებაც იქნებ შემთხვევითობა იყოს, მაგრამ ფაქტი ერთია: პოლგარების ტრიოს უმრწემესმა და უძლიერესმა წევრმა ინდონეზიის 30-გრადუსიან ტროპიკულ სიცხეში მეტად მაღალი კლასის ჭადრაკი ითამაშა. პოლგარის ხელშემწყობ ფაქტორად პირად ცხოვრებაში მიღწეულ პროგრესს ასახელებენ, ბალიზე სიმპათიური ბოიფრენდი სახელად გუსტავ ფონტსი სულ გვერდით ჰყავდა და ფსიქოლოგიურად ეხმარებოდა, იქნებ ამის შედეგიც იყო მოჭადრაკის პოზიციურად დახვეწილი რამდენიმე გამარჯვება, რომელთაგან უმთავრესი ბოლო ტურში ჟილბერტო მილოშის ძლევაა. ბრაზილიელი აქამდე ოთხიდან ერთ-ერთ ლიდერად მოსულიყო და რაღა ფინიშზე ითამაშებდა უპრეტენზიოდ, მით უფრო, თეთრი ფიგურებით, მაგრამ გამარჯვება მაინც მანდილოსანს დარჩა. 44-ე სვლაზე ბრაზილიელი დანებდა და დიდმა და პატარამ იმ დაფისკენ იწყო ცქერა, რომელზეც ხალიფმანის თეთრი ფიგურები კარპოვის შავების რამენაირად გამოჭერას ცდილობდნენ. ჩემპიონთა დუელში მშობლიური დებიუტი ანუ რუსული პარტია გათამაშდა და სასტარტო მღელვარებიდან ხალიფმანი ზედმეტი პაიკით გამოვიდა, თუმცა შავების პოზიცია საკმაოდ მყარი ჩანდა და მსუბუქი ძალდატანებით მისი გარღვევა შეუძლებელი იყო. ხალიფმანმა მანევრები წამოიწყო და ერთი ორჯერ მეტად ცუდ დღეში ჩააგდო მეტოქე, მაგრამ კარპოვს უარესი პოზიციის გადარჩენის ხელოვნება არ ესწავლება და მისმა რამდენიმე მოხდენილმა სვლამ ყაიმი გარდაუვალი გახადა. მშვიდობა 64-ე სვლაზე გაფორმდა და მანდილოსნისგან ვაჟკაცთა საბოლოო დაჩაგვრაც.

ბოლოს კი ნაბოლარებზე... ცხრილის ფსკერზე თავიდანვე პოტენციურ აუტსაიდერებად მიჩნეულებმა დაიბუდეს. პროგნოზი იმისია, რომ ხანდახან გაამართლოს.

დავით გულუა

### საბოლოო შედეგები

1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 6,5
2-3. ანატოლი კარპოვი, ალექსანდრ ხალიფმანი (ორივე — რუსეთი) — 6
4. ჟილბერტო მილოში (ბრაზილია) — 5,5
5. იასერ სეირავანი (აშშ) — 5
6-7. იან ტიმანი (ჰოლანდია), უტუტ ადიანტო (ინდონეზია) — 4
8. იაან ელვესტი (ესტონეთი) — 3
9-10. რუბენ გუნავანი (ინდონეზია), ვინ ლეი ზო (ბირმა) — 2,5

## ჰოკეი

NHL

# PLAY OFF

## მეოთხედფინალი

# სიკვდილი არავის უნდოდა

## მფრინავთა ისტორიული მარათონი

4 მაისი

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი — ფილადელფია 2:2**

**პიტსბურგი — ფილადელფია 1:2**

1:0 0:0 0:1 0:0 0:0 0:0 0:0 0:1

1:0 კოვალიოვი 2'22 (1); 1:1 ლეკლერი 44'47 (5); 1:2 პრიმო 152'01 (2)

ფილადელფია მადლობელი უნდა იყოს კეიტ პრიმოსი. ცენტრფორვარდმა როგორც იქნა შეასრულა ის მისია, რაც ევალებოდა და რაც აქამდე არ გამოსდიოდა. მე-5 ოვერტაიმის (!) მე-13 წუთზე იგი მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მასპინძელთა ზონაში, გზად ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მცველი დარიუს კასპარაიტისი, აულებელი დარტყმით დალაშქრა რონ ტაგნატის კარი და ბოლო მოუღო 40 ჰოკეისტის, 3 მსაჯისა და 17184 მაყურებლის ტანჯვა-წამებას. ხუმრობა ხომ არ არის, მატჩი 7 საათს გაგრძელდა და თვლემამორეული გულშემატკივრებისთვისაც უკვე სულერთი იყო, მოიგებდა თუ არა მათი საყვარელი გუნდი. უფრო თუ დავაზუსტებთ, პრიმომ ოვერტაიმის დრო 92-ე წუთსა და 1 წამზე შეაჩერა, რაც ლიგის ისტორიაში ხანგრძლივობით მესამე მაჩვენებელია. ბოლოს ასე დიდხანს ჰოკეი 64 წლის წინ ითამაშეს.

თუმცა მაყურებელი მხოლოდ ღამემ მოქანცა, თვით ოვერტაიმები კი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და სრულიადაც არ ჰგავდა თუნდაც დალასისა და ბუფალოს შარშანდელი ფინალის მეექვსე, გაჭიანურებულ შეხვედრას, სადაც მეტოქეებმა ყველას მოაბეზრეს თავი. ლამის ყველა დამატებით დროში იცვლებოდა სურათი: პირველი სტუმრებმა უკეთ ჩაატარეს, მეორე — მასპინძლებმა, შემდეგ თანაბარი თამაში გაჩაღდა და ასე შემდეგ. მომენტიც საკმაოდ ბევრი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდები ფხიზლობდნენ და აქცენტს დაცვაზე აკეთებდნენ (ხუთი ოვერტაიმის განმავლობაში მხოლოდ სამი ჰოკეისტი დაჯარიმდა), მწვავე შეტევები ხშირად ხორციელდებოდა და მოთამაშეთა ბრალი არ არის, რომ შაიბა ხან გვერდიდან ხვდებოდა ბადეს, ხანაც ძელი ისხლეტდა. ორჯერ იგი ფეხებშუაც გაუძვრა ტაგნატს, მაგრამ კარში მაინც არ გავიდა. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, ამიტომ მათი გამარჯვება დამსახურებულად უნდა ჩაითვალოს.

თუმცა ეს ოვერტაიმები შეიძლებოდა არც ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც მე-3 წუთზე კოვალიოვმა ანგარიში გახსნა, პიტსბურგმა ჩინებულად დაიცვა თავი. სტუმრებმა ვერა და ვერ გატეხეს თავდადებით მებრძოლი მასპინძლები. მატჩიც, ალბათ, ასე დამთავრდებოდა, რომ არა ჯონ ლეკლერის ერთობ საეჭვო და შემთხვევითი გოლი. ერიკ დეჟარდენის მიერ უხეიროდ დარტყმული შაიბა მისმა ყვანჯმა, ან იქნებ სულაც მცველ ბობ ბუგნერის ჩაფხუტმა აისხლიტა. ვიდეოჩანაწერმაც ვერაფერი აჩვენა და გოლი ჩაითვალა, უფრო სწორად, ლეკლერის ანგარიშზე ჩაიწერა. დანარჩენი კი უკვე იცით.

სამველ ლარიბიანი

*ყველაზე ხანგრძლივი ოვერტაიმები ნჰლ-ში*

1936 წლის 24 მარტი, დეტროიტი — ტორონტო მარუნსი; 1:0 116 წუთი, 30 წამი

1933 წლის 3 აპრილი, ტორონტო — ბოსტონი 1:0 104 წუთი, 46 წამი

2000 წლის 4 მაისი, ფილადელფია — პიტსბურგი 2:1; 92 წუთი 01 წამი

1996 წლის 24 აპრილი, პიტსბურგი — ვაშინგტონი; 3:2 79 წუთი 15 წამი



REUTERS პიტსბურგიდან

პიტსბურგელი დარიუს კასპარაიტისისა და ფილადელფიელი კეიტ პრიმოს (25) ეს შეყრა მარტო ძალისმიერი კი არა, ორივესთვის ერთობ უსიამოვნო გამოდგა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

*4 მაისს დასრულდა ჯგუფური, ანუ წინასწარი ეტაპი. მან გამოავლინა ის 12 გუნდი, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ისინი ორ ჯგუფად დაწყვილდნენ: **E**-ში — **A** და **D** ჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები, ხოლო **F**-ში **B** და **C**-ს პირველი სამეულები. თანაც, მეორე რაუნდში მათ თანაჯგუფელებთან შეხვედრებში მოპოვებული ქულებიც ჩაეთვლებათ.*

| E ჯგუფი | | | | | | F ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 10:1 | 4 | ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 6:1 | 4 |
| აშშ | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | ფინეთი | 1 | 1 | 0 | 8:2 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 6:5 | 3 | სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 8:4 | 3 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 7:6 | 2 | ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 4:7 | 2 |
| რუსეთი | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 | კანადა | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 3:13 | 0 | იტალია | 0 | 0 | 2 | 2:12 | 0 |

პირველ ეტაპზე მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები ეგრეთ წოდებულ სანუგეშო ტურნირს ჩაატარებენ, რომლის მაჩანჩალაც უძლიერესთა რიგებს დატოვებს, მის ადგილს კი გაისად გერმანია დაიკავებს. გეტყვით იმასაც, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, უ და ა ჯგუფების მეოთხეადგილოსნები მეოთხედფინალიდან საპლეიოფო სისტემით გაითამაშებენ მედლებს.

*ბომბარდირები: ნიულანდერი (შვედეთი) 6 (1%5); ბერტუცი (კანადა) 5 (4%1); და სედინი (შვედეთი) 5(3%2); მაგნუსენი (ნორვეგია) 5 (2%3); სუშინსკი (რუსეთი), ბრიანი (საფრანგეთი), ჰუსელიუსი 4 (3%1); ნორდი (ორივე - შვედეთი), ვიბორნი, დოპიტა (ორივე — ჩეხეთი), ციპლაკოვი (ბელარუსი) დაპარდაკი (სლოვაკეთი) 4 (2%1)*

5 მაისი

**E ჯგუფი**

**ლატვია — რუსეთი 3:2**

0:0 3:2 0:0

1:0 ბელავსკისი 21'58; 1:1 პეტროვი 34'16; 2:1 სემიონოვსი 36'58; 3:1 სემიონოვსი 38'36; 3:2 ბურე 39'25

**აშშ — ბელარუსი 1:0**

0:0 1:0 0:0

1:0 ლონგო 26'17

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 1 | 0 | 7:3 | 5 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 10:1 | 4 |
| ლატვია | 2 | 0 | 1 | 10:8 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 6:5 | 3 |
| რუსეთი | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 3 | 3:14 | 0 |

**F ჯგუფი**

**ჩეხეთი — იტალია 9:2**

2:0 5:0 2:2

1:0 პროსპალი 1'38; 2:0 ბუზეკი 6'52; 3:0 კუჩერა 23'14; 4:0 ბენიშეკი 35'22; 5:0 კუჩერა 36'12; 6:0 ვლაშაკი 36'59; 7:0 ჰავლაკი 38'42; 8:0 განეკი 43'09; 8:1 ჩიტარონი 47'07; 9:1 შპაშელი 53'10; 9:2 ძარილო 53'47

**კანადა — ფინეთი 5:1**

0:1 1:0 4:0

0:1 ჰელმინენი 7'12; 1:1 ბერტუცი 38'47; 2:1 სმიტი 41'46; 3:1 აკოინი 46'59; 4:1 ისბისტერი 54'46; 5:1 მაიერსი 56'27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 0 | 0 | 15:3 | 6 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 8:4 | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | 1 | 9:7 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 4:7 | 2 |
| კანადა | 1 | 0 | 2 | 9:7 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 3 | 4:21 | 0 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა

XXX ტური

კარლსრუე 0:0 ზანქტ პაული

ალემანია 1:0 კოტბუსი

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXXVI ტური

სოშო — გენგამი 1:1; ლორიანი — ნიმი 0:1; ვალანსი — ნიცა 2:0; კანი — აიაჩო 2:0; კაენი — შატორუ 4:1; ლე მანი — ლუანი 2:1; კრეტეი — ვასკეალი 1:1

## თურქეთი

XXXII ტური

ფენერბაჰჩე 1:3 გენჩლერბირლ.

## ავსტრია

XXXII ტური

ტიროლი 1:0 ლუსტენაუ

## იტალია

სერია B. XXXIII ტური

პისტოიეზე 3:2 ტერნანა

## ჩეხეთი

XXVIII ტური

ბუდეიოვიცე 2:2 ბლშანი



REUTERS ბივერტონიდან

# მიას წუღ

ამერიკული ქალთა ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავი მია ჰემი თავ... ახალ სათამაშო წუღას, ა... ბუცს წარმოგვიდგენს. ნა... მიერ შექმნილი ეს სათამ... ფეხსაცმელი კაცობრიობის ისტორიაში პირველია, ქალისთვის და ქალის ფეხ... რომ შეკერეს. ბუცს მ-ე ჰ... და ნაიკის გამოფენაზე, ორეგონის ქალაქ ბივერტონში, მია ჰემის სავანგებო სტენდზეა გამოფენილი.



REUTERS ბუენოს აირესიდან

# ტანგო და რბოლა

*ბუენოს აირესი და ტანგოს გარეშე? ამ უქმეებზე არგენტინის რალი გაიმართება. ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის, ტომი მაკინენისთვის არგენტინული გზები იღბლიანია, აქ ოთხი რბოლიდან სამი მოუგია. „მიცუბიშის" პრეზენტაციაზე კი ერთი მოხდენილი ტანგოც გახურებულა კაცად ტომი ყოფილა.*

# ძაღლების დაჯილდოება

მგონი ძაღლებმაც იციან, რომ მოგება და წაგება ძმები აღარ არიან. ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში გამართული ძაღლთა დიდ გამოფენაში გამარჯვებული გამოსულა კოფი ჯუნო, მეორე ადგილზე კი ჰისბრიდი გასულა. მოგებული და წაგებული პირდაპირ დაჯილდოების ცერემონიალისას დატაკებიან ერთმანეთს. ჩანს, წაგებულმა ავად გამოსცრა რაღაც. კოფი ჯუნოს კი ძლივს აკავებს პატრონი, ქალბატონი ტალინე იოგზათიანი.



# მალე შარლერუაშ



ეს შარლერუას სტადიონ... ფოტოს კი სიმბოლური მნ... ლობა აქვს. ახლო წარსულ... ნთქმული ინგლისელი ვარს... ვი გარი ლინეკერი გერმანელ... რცხნივ) და ინგლისელ... რჯვნივ) გულშემატკივრებს... ჩამდგარა. ორივენი, გერმა... კარსტონ პრენი და ინგლ... დანკან ვაიტი, ისხდებიან ამ... დიონის ტრიბუნებზე ო... დღეში. 17 ივნისს გახურებუ... როპის ჩემპიონატზე ინგლის... ბი და გერმანელები ერთმა... შეხვდებიან, გარი ლინეკერი... შეხვედრათა ერთგვარ მა... დაც გამოდგება.



# მარიონი ემზადება

მომხიბვლელი სპრინტერი მარიონ ჯონსი სიდნეის ოლიმპიადაზე ხუთი ოქროს მედლის მოგებას აპირებს და კარგა ხანია, რაც ჩრდილო კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ვარჯიშობს. ოცდათოთხი წლის კოხტა მარიონის ქმარი, კურატა სი ჯეი ჰანტერია, იგი მსოფლიოს ჩემპიონიც ყოფილა ბირთვის კვრაში. სი ჯეი მამაკაცური სითბოთი და მონდომებით ამზადებს მარიონს, ჰანტერის ქალიშვილ ეჰნის კი სულაც არ მიაჩნია, რომ ეს გოგო მისი დედინაცვალია. უფრო, უფროსი დაა, ამბობს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, I კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 4...
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarb...